პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი.
№ 197 (12111)
სამშაბათი, 29 აგვისტო, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

შენთვის, ჩემო სამშობლოვ

ქუთაისი. (საკ. კორ.). პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ანაღდებს მინის ტარის ქარხნის კოლექტივი, რომელიც კიეველ და ტირასპოლელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება. საწარმოს კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება 21 აგვისტოსათვის შეასრულა. სექტემბრის ანგარიშში უკვე გამოშვებულია 2 მილიონზე მეტი ცალი მინის ქილა, ათასობით მანეთის ბროლის ჭურჭელი.

განვლილ პერიოდში ქარხნის კოლექტივმა ძირითადი და დამხმარე მასალების, აგრეთვე სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვით 36.000 მანეთი დაზოგა.

ტყიბული. (საკ. კორ.). ყოველ დღეს, რომელიც სულ უფრო გვაახლოებს პარტიის XXII ყრილობასთან რაიონის მშრომელები შესანიშნავი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ.

ტყიბულის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ვ. ლორია) ვადაზე 40 დღით ადრე შეასრულა ჩაის უმაღლესი ხარისხების გამოშვების წლიური დავალება. „საქართველოს თაიგულის" წლიური დავალება აქ დიდი გადამეტებით — 234,6 პროცენტით არის განაღდებული, „ექსტრასი" — 135,9 პროცენტით, ხოლო უმაღლესი ხარისხის პირველი კატეგორიის ჩაის წლიური გეგმა — 14,4 პროცენტის გადაჭარბებით.

ფაბრიკამ განვლილ პერიოდში სახელმწიფოს უკვე 10.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა.

ფაბრიკის კოლექტივმა გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა სეზონის დამთავრებამდე სახელმწიფოს ჩააბაროს 40 ტონა უმაღლესი ხარისხის ჩაი.

◆

პირველობას არ თმობენ

წულუკიძელმა მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი გააძლიერეს. უკვე მოკრეფილია 2.556 ტონა ჩაის ნედლეული, ანუ შარშანდელთან შედარებით 97 ტონით მეტი. პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონის ბევრი კოლმეურნეობა დაწინაურდა. გოჩაჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მოკრიფა 157,6 ტონა ჩაის ნედლეული და გადაწყვიტა კიდევ მოკრიფოს 25 ტონა.

გ. გეგუჩაძე.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

დამატებით — 350 ტონა ჩაი

საუბარი საქართველოს კპ ხობის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ა. წურწუმიასთან

— რაიონის მშრომელებში, — განაცხადა „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ ხობის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. წურწუმიამ, — პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. რაიონის მეჩაიეებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და წარმატებებიც მოიპოვეს.

რაიონის მეჩაიეებმა პირობა გაანაღდეს. 28 აგვისტოსათვის მოკრიფეს 2.405 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.400 ტონისა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 258 ტონით მეტი ჩაის ნედლეული. წლიური გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს საჯიჯაოს ლენინის სახელობის და ცხაკაიას სახელობის, ძველი ხიბულის ლენინის სახელობის, ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა. ისინი მალე ნაკისრ ვალდებულებებსაც შეასრულებენ.

საყოველთაო ქება დაიმსახურეს მკრეფავებმა. საჯიჯაოელმა ქსენია კევალიშვილმა მოკრიფა 8,8 ტონა „მწვანე ოქრო" და დამატებით კიდევ მოკრეფს 2 ტონას. ტონია მიქავამ მოკრიფა 4 ტონა და იკისრა კიდევ ერთი ტონის მოკრეფა. ასევე ახალი ვალდებულებები იკისრეს ახალხიბულელმა ციალა ჭელაიამ, გუგუშა ბასილაიამ, ძველხიბულელმა შურა კორტავამ, ციცინო კაჭარავამ და სხვებმა.

ახლა ხობელი მეჩაიეები ენერგიულად განაგრძობენ ჩაის ფოთლის კრეფას და ნაკისრი ვალდებულების (350 ტონა) შესრულებას ფიქრობენ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ამერიკელი ჟურნალისტის დრიუ პირსონის კითხვაზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ამ დღეებში მიიღო ამერიკელი ჟურნალისტი დ. პირსონი და საუბარი ჰქონდა მასთან.

პასუხად დრიუ პირსონის კითხვაზე ბერლინის კრიზისის, დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან ამ საკითხზე მოლაპარაკების მიზანშეწონილობისა და იმის შესახებ, თუ რა მალეა საჭირო დაიწყოს ეს მოლაპარაკება, ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკის პრესაში:

როგორც მე მესმის, „ბერლინის კრიზისს" თქვენ უწოდებთ სოციალისტური ქვეყნებისა და დასავლეთის ქვეყნების უთანხმოებას გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ დასავლეთ ბერლინის ბედის საკითხში. უწინარეს ყოვლისა მინდა ხაზი გავუსვა რომ ეს საკითხი მხოლოდ ნაწილია გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების საერთო პრობლემისა. დასავლეთის გარკვეული წრეების მიერ მის გარშემო ატეხილი ხმაური, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობისა და ომის ფსიქოზის გაძლიერებას, აშკარად ისახავს მიზნად გააძნელონ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება. ამიტომ უნდა დავიწყოთ მთავარი საკითხით—გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ საბჭოთა კავშირისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წინადადებამ, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ, საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ ამჟამად არსებულ ორ გერმანულ სახელმწიფოსთან, რომლებიც ყოფილი გერმანიის მემკვიდრეები არიან, დასავლეთის სახელმწიფოთა სრულიად არასწორი გამოხმაურება გამოიწვია.

ამ საკითხში განსაკუთრებით მტრული პოზიცია უჭირავს დასავლეთ გერმანიის მთავრობას. ამაში მას მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები. ისწრაფვიან რა დააკმაყოფილონ ადენაუერის მთავრობის სურვილი, ისინი უარყოფენ გონივრულ წინადადებებს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, თუმცა ასეთი ხელშეკრულება სრულიად არ ლახავს დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესებს.

რა თქმა უნდა, ერთიანი გერმანია რომ არსებობდეს, ასეთი საზავო ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნებოდა მასთან. მაგრამ ახლა ერთიანი გერმანია ხომ არ არსებობს. ყოფილი ჰიტლერული რაიხის მიწა-წყალზე შეიქმნა და საკუთარი გზებით წავიდა ორი გერმანული სახელმწიფო, რომლებსაც დიამეტრალურად საწინააღმდეგო ეკონომიური და პოლიტიკური სისტემები აქვთ. მე არ მინდა ახლა ვილაპარაკო ამ საკითხის ისტორიაზე და მოგითხროთ, თუ რატომ მოხდა ასე, თუმცა ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ამის შესახებ სათქმელი გვაქვს—გერმანია გათიშეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ჯერ კიდევ 1947 წელს, როცა მათ ზედიზედ განახორციელეს მთელი რიგი ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებანი, რათა თავიანთი საოკუპაციო ზონები გადაექციათ ჯერ ბიზონიად, შემდეგ ტრიზონიად და, ბოლოს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკად. აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობამ, რომელიც დააყენეს დასავლეთ გერმანიაში სეპარატული სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტის წინაშე, რომელსაც აქვე რომ ითქვას, ერთბაშად მიეცა აგრესიული, რევანშისტური ხასიათი, თავის მხრივ შექმნა მეორე გერმანული სახელმწიფო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც მშვიდობისმოყვარული, დემოკრატიული ხასიათი აქვს.

ამრიგად, ევროპის ცენტრში რეალურად არსებობს,—მოგვწონს ეს ჩვენ თუ არ მოგვწონს,—ორი გერმანული სახელმწიფო, და სწორედ ამ ფაქტს უნდა დავეყრდნოთ.

მე დამრჩენია დავძინო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არაერთხელ სცადა დაერწმუნებინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მისხდომოდნენ მოლაპარაკების მაგიდას და შეემუშავებინათ გზები, რომლებსაც მოჰყვებოდა გერმანელი ერის გაერთიანება, მაგრამ არც ერთი ეს ცდა წარმატებით არ დამთავრებულა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით ამბობდა უარს განეხილა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რაიმე წინადადება ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

რით არის ნაკარნახევი დასავლეთ გერმანიის მთავრობის ასეთი პოზიცია? ამას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ახსნა: უარს ამბობს რა გერმანელი ერის მშვიდობიან გაერთიანებაზე, დასავლეთ გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს ძალით დაიპყროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ ვისთვის არ არის ცხადი, რომ ამ რესპუბლიკის ჩანთქმის ცდა დაუსჯელი არ დარჩება. იგი ხომ მარტო არ არის, მას ჰყავს ერთგული მოკავშირეები, რომლებიც გაჭირვებაში არ დატოვებენ.

ცნობილია ისიც, რომ დასავლეთ გერმანიას აგრეთვე ჰყავს თავისი მოკავშირეები, რომლებთანაც იგი დაკავშირებულია ნატოს აგრესიული პაქტით. ამ პირობებში დასავლეთ გერმანიის თავდასხმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე იქნებოდა არა ლოკალური კონფლიქტი, არამედ ისტორიაში უმაგალითო თერმოატომური ომის დაწყება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ორი მოწინააღმდეგე ბანაკის ყველა სახელმწიფო.

მაშ როგორ მოვიქცეთ შექმნილ ვითარებაში? ველოდოთ, სანამ გერმანია გაერთიანდება,—ეს კი, როგორც ხედავთ, შეიძლება მოხდეს მხოლოდ საშინელი ომის გზით,—თუ დაუყოვნებლივ მოვაწეროთ ხელი ხელშეკრულებას ორ რეალურად არსებულ სახელმწიფოსთან?

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაყოვნება აღარ შეიძლება.

საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერა, რომელიც მოსპობს მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს და განამტკიცებს ორივე გერმანული სახელმწიფოს საზღვრებს, ხელს შეუკრავს რევანშისტებს და დაუკარგავს მათ ავანტიურების ხალისს. და, პირიქით, შემდგომ გაჭიანურებას დასავლეთ გერმანიის რევანშისტული წრეები შეხვდებოდნენ როგორც აგრესიის, ომის გაჩაღების წახალისებას.

ამის მიხედვით, ჩვენ გადავწყვიტეთ ბოლო მოვუღოთ გაჭიანურებას გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხში. და თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა კვლავაც უარს იტყვის ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას, იგი ხელმოწერილი იქნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რომელიც უკვე დათანხმდა ამაზე. ხელშეკრულება განამტკიცებს პოტსდამის შეთანხმებით დადგენილ საზღვრებს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთლიანად განახორციელებს სუვერენიტეტს თავის ტერიტორიაზე, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ტვირთისაგან თავისუფალი.

ახლა დასავლეთ ბერლინის ბედის შესახებ. როგორც უკვე ვთქვი, დასავლეთ ბერლინის საკითხი გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საერთო საკითხის ნაწილია. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერით დასავლეთი ბერლინი მიიღებს თავისუფალი ქალაქის სტატუსს და თავისი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იქნება. მისი მოსახლეობა იცხოვრებს ისეთ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ წყობილებაში, როგორიც თვითონ მას სურს ჰქონდეს. ჩვენ წინადადება შემოგვაქვს ჩაიწეროს, რომ არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს დასავლეთ ბერლინის საქმეებში და თავს მოახვიოს მის მოსახლეობას თავისი წესები.

თითქოს, ასეთი გადაწყვეტილება სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებსაც არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს ცხოვრების წესის არჩევაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები მკვეთრად ილაშქრებენ ჩვენი წინადადებების წინააღმდეგ, ამასთან დასავლეთ ბერლინის საკითხის გარშემო ტეხენ გაუგონარ ხმაურს, რომელიც უახლოვდება ომის ისტერიას.

რით არიან ისინი უკმაყოფილონი? იმით, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და დასავლეთ ბერლინისათვის თავისუფალი ქალაქის სტატუსის მინიჭება ავტომატურად უღებს ბოლოს საოკუპაციო სტატუსს, რომლის საფუძველზე მათი ჯარები იქ იმყოფებიან.

მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების ნათელი და მტკიცე განცხადებებისა, რომ ისინი მზად არიან მისცენ დასავლეთ ბერლინს ყოველგვარი გარანტია, დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეები და განსაკუთრებით ადენაუერი და ბრანდტი გაიძახიან, თითქოს ჩვენ გვსურს „ხელთ ვიგდოთ" ეს ქალაქი. მაგრამ ტყუილად ხომ არ ამბობენ ხალხში, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. მინდა ვიცოდე, რას გვიპასუხებენ დასავლეთის სახელმწიფოები ასეთ კონკრეტულ წინადადებაზე: დაე შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და საბჭოთა კავშირმა ერთად დადონ საზეიმო დაპირება, რომ პატივს სცემენ და დაიცავენ თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და უფლებებს!

ვფიქრობ, თქვენ ეთანხმებით ამას. ჩვენც ვეთანხმებით! მაშ სადღაა აქ საფუძველი ვნებათა ღელვისა და ომის ფსიქოზის გაღვივებისათვის ეგრეთწოდებული ბერლინის საკითხის გარშემო?

რჩება დასავლეთ ბერლინში თავისუფალი შესვლის საკითხი. ამ საკითხის გარშემო, როგორც თქვენ იცით, განსაკუთრებულ ხმაურს ტეხენ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების მოწინააღმდეგენი. მით უფრო საჭიროა სრული სიცხადე შევიტანოთ ამ საკითხშიც.

ჩვენ ვამბობდით და ვიმეორებთ, — არავინ არ ხელყოფს დასავლეთ ბერლინში შესვლის თავისუფლებას. პირიქით, როცა წინადადებას ვიძლევი დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დასავლეთ ბერლინის კომუნიკაციების თავისუფლება. დასავლეთ ბერლინის მთავრობას, ისევე როგორც ყოველ სუვერენულ მთავრობას, უფლება უნდა ჰქონდეს დიპლომატიური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა იქონიოს ყოველი კონტინენტის ყოველ ქვეყანასთან.

მაშ სადღაა უთანხმოება? აი სად არის: ჩვენ გვინდა მთლიანად მოვუღოთ ბოლო მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს, ხოლო დასავლეთის ქვეყნები ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი ყოველნაირად ებღაუჭებიან ამ ნაშთებს, ცდილობენ უზრუნველყონ თავიანთი ჯარებისათვის დასავლეთ ბერლინში შესვლა საოკუპაციო უფლებათა საფუძველზე, რომლებიც გამომდინარეობენ ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის რეჟიმთან.

მაგრამ ერთი მეორეს არ ეთანხმება! ჰკითხეთ რომელიც გნებავთ, იურისტს, და იგი გეტყვით, რომ თუ ხელს აწერენ საზავო ხელშეკრულებას, ხდება ომის მდგომარეობის ლიკვიდაცია, ხოლო თუ ომის მდგომარეობის ლიკვიდაცია ხდება როგორღა შეიძლება დარჩეს დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმი? ეს შეუძლებელია!

მსოფლიოს ყველა სუვერენული ქვეყანა, — ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მათ რიცხვს ეკუთვნის, — ხელმძღვანელობს საყოველთაოდ მიღებული წესით: თუ სხვა ქვეყნებთან მათი კავშირის გზები გადის მესამე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, ბუნებრივია, ყოველთვის საჭიროა ამ მესამე სახელმწიფოთა თანხმობა ამ კომუნიკაციებით სარგებლობაზე, სადაც უნდა გადიოდნენ ისინი, — მიწაზე, ჰაერში თუ წყალზე. ეს შეეხება ყოველ ქვეყანას, რა საზოგადოებრივ სისტემასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართვის წინააღმდეგ ერთ-ერთ საბუთად დასავლეთის ზოგიერთი მოღვაწე აყენებს იმ არგუმენტს, რომ ისინი ვერ მიმართავენ ამ მთავრობას, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები ომობდნენ გერმანიის წინააღმდეგ. ეს არგუმენტი სრულიად უსაფუძვლოა. ჩვენც ხომ ვომობდით და, როგორც ცნობილია, გადავიტანეთ გერმანიის წინააღმდეგ, მისი იმ ნაწილის წინააღმდეგაც ომის მთავარი სიმძიმე, რომელიც ახლა შედის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ურთიერთობა გვაქვს და მივმართავთ ხოლმე, როცა საჭიროა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას. მოგიყვანთ ერთ მაგალითს, რომელზეც უკვე ვილაპარაკე ერთ-ერთ გამოსვლაში. ჩვენ ახლა გვაქვს მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა მოსკოვი-პარიზი. ეს მატარებლები დადიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სანამ ხელს მოვაწერდით შეთანხმებას საფრანგეთთან, ბუნებრივია, ჩვენ მივმართეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას და ვთხოვეთ დაერთო ნება, რომ მატარებლებს გაევლოთ მის ტერიტორიაზე, და მხოლოდ თანხმობის მიღებისა და სათანადო შეთანხმებათა დადების შემდეგ დაიწყო მატარებლების მოძრაობა.

ასეთი მაგალითები შეიძლება ათასობით მოვიყვანოთ. ასეთი წესი უნდა იყოს დასავლეთ ბერლინში შესვლის შესახებაც საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ. სუვერენიტეტის პატივისცემა დაცული უნდა იყოს ყველა ქვეყნის მიმართ, მათ შორის აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართაც.

ასეთი წესი კანონთა კანონია, და თუ ჩვენ მას შევლახავთ, მაშინ არ იქნება სტაბილობა მსოფლიოში, არ იქნება სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და საერთოდ, შესაძლოა, არ იქნება მშვიდობა.

და თუ ზოგიერთი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე ამბობს—დაე საბჭოთა კავშირმა და სხვა ქვეყნებმა ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებს დაუტოვონ დასავლეთ ბერლინში შესვლის უფლება, რომელიც საოკუპაციო სტატუსიდან გამომდინარეობსო, მათ სურთ შეუძლებელი რამ როცა იდება საზავო ხელშეკრულება, ბუნებრივია, თავდება გამარჯვებულ სახელმწიფოთა უფლებები, რომლებიც დამარცხებული ქვეყნის კაპიტულაციიდან გამომდინარეობს.

გერმანული სახელმწიფოები, რომლებთანაც ხელმოწერილი იქნება საზავო ხელშეკრულება, ამ მომენტიდან გახდებიან მთლიანად სუვერენული სახელმწიფოები, და მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არ მოსწონთ სხვა ქვეყნებს ამა თუ იმ მათგანში არსებული რეჟიმი, ყველას მოუხდება იქონიოს მათთან ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, თუ როგორ არის იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საქმე. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ჩვენ ვომობდით იაპონიის წინააღმდეგ. საბჭოთა არმიამ გაანადგურა იაპონიის ჯარების ძირითადი ბირთვი — კვანტუნის არმია მანჯურიაში. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ საბჭოთა კავშირმა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა მოკავშირეებთან ერთად შეიმუშავა იაპონიის ომისშემდგომი განვითარებისადმი კონტროლის ღონისძიებანი. საბჭოთა წარმომადგენლები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამოკავშირეო საბჭოს მუშაობაში ტოკიოში. ხოლო როცა საქმე მივიდა ზავის დადებამდე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ანგარიში არ გაუწიეს საბჭოთა კავშირს და ხელი მოაწერეს სეპარატულ ხელშეკრულებას. მათ ცალმხრივი წესით მოახდინეს იაპონიისათვის სამოკავშირეო საბჭოს ლიკვიდაცია და დაიწყეს ტოკიოდან საბჭოთა წარმომადგენლების გამოძევება. და თუმცა ჩვენ გვქონდა გარკვეული უფლებანი და ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობდნენ იაპონიის კაპიტულაციის ფაქტიდან და აღნიშნული იყვნენ სათანადო შეთანხმებებში, ჩვენმა მოკავშირეებმა მათ ანგარიში არ გაუწიეს.

მაშ რატომ ცდილობენ ახლა ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები უკანონოდ დასახონ ჩვენი განზრახვა — დავდოთ საზავო ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის სახელმწიფოები უარს იტყვიან ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან? იმას, რაც ხელსაყრელია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ისინი აცხადებენ კანონიერად; იმას, რაც მათი აზრით, შეუფერებლად მიაჩნიათ თავიანთთვის, ისინი უწოდებენ უკანონოს, სადღაა აქ ლოგიკა?

ამრიგად, სავსებით აშკარაა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ხელოვნურად აღვივებენ დავას ბერლინის საკითხის გარშემო, ომის ისტერიის სულისკვეთება შეაქვს მასში, რათა კიდევ უფრო ძლიერ გაამწვავონ საერთაშორისო დაძაბულობა და შექმნან საბაბი საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ ომის გაჩაღებისათვის. ლაპარაკი იმაზე, თითქოს ისინი იბრძვიან დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, თავიდან ბოლომდე ყალბია, რადგან ამ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას არავინ არ ემუქრება.

ჩვენ წინანდებურადვე ვამბობთ: მოდით მოვაწეროთ ხელი საზავო ხელშეკრულებას, მოდით დავაწესოთ დასავლეთ ბერლინისათვის თავისუფალი ქალაქის სტატუსი, მოდით ყველა საჭირო გარანტია მივცეთ მას. უფრო მეტიც, — ჩვენ თვითონ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ ამ გარანტიების განხორციელებაში. ჩვენ მზად ვართ იმაზეც დავთანხმდეთ, რომ დასავლეთ ბერლინში ამ გარანტიების განსამტკიცებლად იყოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სიმბოლური ჯარები. ეს უნდა იყოს მცირე, სწორედ სიმბოლური ჯარები, იმიტომ, რომ იქ დიდი შეიარაღებული ძალები არ იქნება საჭირო იმისათვის, რომ გარანტირებულ იქნას თავისუფალი ქალაქის სტატუსი. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა შევთანხმებოდით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კომუნიკაციათა თავისუფლების შესახებ ამ საჯარისო ქვედანაყოფებისათვის.

აი, კაცმა რომ თქვას, როგორია ჩვენი პოზიცია გერმანიის საკითხში, აი რისთვის ვიბრძვით ჩვენ. მინდა კიდევ და კიდევ გავუსვა ხაზი, რომ ჩვენ ვიბრძვით მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციისათვის, ჩვენ გვინდა, რომ ატმოსფერო ევროპაში, და მაშასადამე, მთელ მსოფლიოშიც გაიწმინდოს, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი სუფთა ჰაერს სუნთქავდეს, რომ ქვეყნები ცხოვრობდნენ როგორც კეთილი მეზობლები, რომ მათ მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარონ ერთიმეორესთან, რომ ადამიანები ისე ცხოვრობდნენ, რომ ომის შიში არ ჰქონდეთ.

სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ და ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილე სხვა სოციალისტური ქვეყნების მთავრობებმა მტკიცედ გადაწყვიტეს აღარ გადადონ გერმანიის საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერა. ჩვენთვის სამწუხარო იქნება, თუ დასავლეთის სახელმწიფოები არ მოისურვებენ ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული გავხდებით მოვაწეროთ ხელი საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

თქვენ მეკითხებით, როდისთვის იქნებოდა სასურველი მოლაპარაკების მოწყობა. რა შემიძლია ვთქვა ამაზე? თქვენ გესმით, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხის გადაჭრის გადადება არ შეიძლება. ამიტომ ჩვენ მზად ვართ ყოველ მომენტში დავამყაროთ კონტაქტი დასავლეთის სახელმწიფოების ლიდერებთან ამ საკითხზე, თუ მათ გულწრფელად სურთ მიაღწიონ გერმანიის პრობლემის რეალისტურ მოწესრიგებას ურთიერთმისაღებ საფუძველზე.

მინდა ამას დავძინო, რომ ისინი ჩვენზე არანაკლებ, — ხოლო, შესაძლოა, მეტადაც, — უნდა იყონ დაინტერესებულნი იმით, რომ ეს პრობლემა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას. და თუ დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელებს, კერძოდ პრეზიდენტ კენედის, სურთ ასეთი მოწესრიგება, ჩვენ დიდი ხანია ვაცხადებთ, რომ ყოველთვის მზად ვართ მივუსხდეთ მრგვალ მაგიდას საზავო მოლაპარაკებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა კვამე ნკრუმას

იალტა, 27 აგვისტო. (საქდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო განის რესპუბლიკის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა, რომელიც ყირიმში ისვენებს, და მეგობრული, გულითადი საუბარი ჰქონდა მასთან.

ნ. ს. ხრუშჩოვი და კვამე ნკრუმა იყვნენ სანატორიუმ „ლივადიაში", სადაც პლაჟზე შეხვდნენ დამსვენებლებს — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს. ნ. ს. ხრუშჩოვმა გააცნო მათ განის რესპუბლიკის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა და მისი მეუღლე. დამსვენებელნი მხურვალედ მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს და კვამე ნკრუმას, კარგად დასვენება და ჯანმრთელობა უსურვეს მათ. დამსვენებლებმა სთხოვეს გულითადი სალამი გადასცენ განის რესპუბლიკის ხალხს, წარმატება და აყვავება უსურვეს მას.

აბაშელ მეჩაიეთა წვლილი

საუბარი საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. მ. ბოკერიასთან

პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აბაშის რაიონის მეჩაიეებმა. მათ 27 აგვისტოსათვის შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა.

ამასთან დაკავშირებით პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ბოკერიამ საუბარში განაცხადა: მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აბაშის რაიონის მშრომელები შრომითს ვახტზე დგანან და იმისათვის იბრძვიან, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXII და საქართველოს კპ XXI ყრილობებს. მოპოვებულია პირველი წარმატება. რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 402 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 400 ტონისა, ანუ შარშანდელთან შედარებით მოკრეფილია 70 ტონით მეტი ჩაის ნედლეული.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ნორიოს სტალინის სახელობის, ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის, წყემის, ტყვირის და სეფიეთის კოლმეურნეობებმა. ჩაის კრეფის ახალმა ოსტატებმა დავარ მასხარაშვილმა, ნათელა ალასანიამ, შურა კუპრავამ, ბაბილინა კუპრეიშვილმა კარგა ხანია წლიური გეგმები შეასრულეს და მალე ნაკისრ ვალდებულებებსაც გაანაღდებენ.

ამ დღეებში მეჩაიეებმა უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი. ისინი წლიური გეგმის გადამეტებით კიდევ მოკრეფენ 50.000 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიე თამარა კუჭავა, რომელიც გეგმით გათვალისწინებულ 25 კილოგრამის ნაცვლად ყოველდღიურად 80-90 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს.

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა, მეჩაიეებმა გადაწყვიტეს სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ტონა ჩაის მწვანე „ოქრო". ამ საქმეში თავი ისახელა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ო. კაპასაკალიდიმ, მან გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა და ახლა ჩაის კრეფს ვალდებულების ანგარიშში.

სურათზე: ო. კაპასაკალიდი.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა.

165.000 ტონა ჩაისათვის!

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში 24 და 25 აგვისტოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები გადაეცათ მათ, ვინც დაიმსახურა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული არტისტის, დამსახურებული მხატვრის, დამსახურებული ინჟინრის, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ სიგელები გადასცა მათ, ვინც დაიმსახურა საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის სიგელები მიიღეს: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, სამტრესტის მთავარმა მეღვინემ გ. ი. ბერიძემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა დ. მ. მშვენიერაძემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ამავე ინსტიტუტის პროფესორმა ნ. მ. როინიშვილმა და სხვებმა.

სიგელები საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის მინიჭების შესახებ გადაეცათ: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ ა. რ. ღვამიჩავას, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს ს. ს. წერეთელსა და სხვებს.

მათ შორის, ვინც მიიღო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სიგელები, არიან: რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ა. პ. კერესელიძე, დამსახურებული არტისტი, გრიბოედოვის სახელობის თბილისის დრამატული თეატრის მსახიობი ნ. მ. ბურმისტროვა და სხვები.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სიგელები გადაეცათ თბილისის მეცნიერ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის რეჟისორს დ. ა. აბაშიძეს, ამ სტუდიის ოპერატორს ლ. შ. არზუმანოვს, საქართველოს სახელმწიფო კაპელის მხატვრულ ხელმძღვანელს ჯ. ი. კახიძეს და სხვებს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს პ. ა. თომაძეს, საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის მსახიობს ზ. ი. კირეალიძეს, კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობს დ. ი. აბაშიძესა და სხვებს გადაეცათ სიგელები რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

მათ შორის, ვინც დაიმსახურა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის წოდება, სიგელები მიიღეს ვ. ი. ჩხეიძემ, კ. მ. მახარაძემ, ვ. ნ. ჯაფარიძემ და სხვებმა.

კიროვის სახელობის თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორს ნ. ს. კიზივაძეს, „საქსოფლმანქანის" ქარხნის განყოფილების უფროსს გ. ბ. ასათიანს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის სამმართველოს განყოფილების მთავარ მექანიკოსს ი. მ. ლომაძესა და სხვებს გადაეცათ სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

სახალხო განათლების მუშაკთა დიდმა ჯგუფმა მიიღო საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სიგელები. მათ შორის არიან: თბილისის პედაგოგიური უცხო ენათა ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი ე. გ. აბაზაძე, თბილისის 78-ე საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ა. ძიძიგური, თბილისის 51-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ვ. დ. ცისკარიძე და სხვები.

სიგელები საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცა 314 კაცს.

მათ, ვინც დაიმსახურა საპატიო წოდება, მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე. მან უსურვა დაჯილდოებულთ ახალი დიდი წარმატებანი ყოველდღიურ საქმიანობაში სამშობლოს საკეთილდღეოდ, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, ჯანმრთელობა და ბედნიერება ცხოვრებაში.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ი. ტატიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გ. გ. ჭელიძე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ა. ს. მეტრეველი.

• • •

26 აგვისტოს დაჯილდოებულთა დიდ ჯგუფს გადაეცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის, დამსახურებული ექიმისა და დამსახურებული პროვიზორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით, რესპუბლიკის სახალხო განათლებისა და კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. წაიკითხა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსმა გ. პ. ჩარექიშვილმა.

მათ, ვინც დაიმსახურა საპატიო წოდება, სიგელები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა.

მათ შორის, ვინც მიიღო საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის სიგელები, არიან: ქალაქ თბილისის № 6 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი მ. ვ. თაიბერიძე, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე ა. ი. ყურაშვილი და სხვები.

სიგელი საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის წოდების მინიჭების შესახებ მიიღო თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის საწარმოო სწავლების ინსტრუქტორმა გ. ი. ხელაძემ.

ქალაქ თბილისის პირველი პოლიკლინიკის უბნის ექიმს ე. მ. აბულაძეს, ქ. თბილისის № 14 პოლიკლინიკის ექიმს ე. მ. ხუხუნის, სამხედრო ჰოსპიტლის განყოფილების უფროსს ვ. ი. იგოშკინსა და სხვებს გადაეცათ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის სიგელები.

საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის სიგელები მიიღეს: პენსიონერმა პროვიზორმა დ. ლ. დოლაბერიძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს სააფთიაქო-პოლიკლინიკის გაერთიანების აფთიაქის მმართველმა ი. დ. ბიქანიანმა, ქ. თბილისის № 23 აფთიაქის მმართველმა ა. დ. მენაბდემ და სხვებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა ი. პ. სიგუამ დაჯილდოებულთა სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას. (საქდესი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

გორელ კომუნისტთა საქმეები და ჩანაფიქრი

ადიდებული ლიახვის გადმოხეთქვას შეავს გორელების მოზღვავებული სიხარული, რაც გამოიწვია სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტებმა. ეს გასაგებიც არის: საქმე ეხება ყოველი საბჭოთა ადამიანის ნათელ მომავალს. პარტიის სიტყვამ შეაღწია რაიონის სოფლების ცხოვრების ყველა კუნჭულში და დაისაკუთრა ადამიანთა გული.

ბედნიერი მომავლის ღრმა რწმენით შრომობენ და ცხოვრობენ გორელი კომუნისტები. ამ შრომისა და ცხოვრების სურათების ნათელი გაცოცხლება იყო გორის რაიონის პარტიული კონფერენცია.

სახელმწიფო თეატრის დარბაზში, სადაც კონფერენცია მიმდინარეობდა, დელეგატთა შორის იჯდა ხორბლისფერი სახის ჭმუხი ჭაბუკი — სოფელ ზემოულეთის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე. იგი თვალს არ აშორებდა პრეზიდიუმში ახლად ულვაშამწვანებულ შავგვრემან ვაჟკაცს — სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს — ვალერიან ტერმაკოზაშვილს, გეგონებოდათ ისინი თვალებით საუბრობენო.

იქნებ კიდევაც იყო რამე ამის მსგავსი! მათ ბევრი აქვთ სათქმელი, ერთიმეორესთან შესაკითხი. გიორგი ცერცვაძემ და ვალერიან ტერმაკოზაშვილმა ორ-ორ ტრაქტორისტთან ერთად წელს კვადრატულ-ბუდობრივად ნათეს ორას-ორას ჰექტარ სიმინდს მოუარეს და ხელით შრომის გამოუყენებლად, კომპლექსური მექანიზაციით კარგადაც გახარეს „მინდვრის დედოფალი". მკლავის სიმსხო ტაროები აქვს დაყრილი სიმინდს.

როცა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ი. ტოლიაშვილი რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში ამ და რაიონის სხვა მოწინავე ადამიანებზე ლაპარაკობდა, დარბაზში გაისმა შეძახილი:

— იხაროს მათმა მარჯვენამ!

— ხეხილის ყვავილობისას, — თქვა ტოლიაშვილმა, — წელს არახელსაყრელი ამინდი დადგა, რამაც ცუდად იმოქმედა, ბევრგან შემცირდა ხილის მოსავალი, მაგრამ რაიონის მშრომელებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულონ — სახელმწიფოს მიჰყიდონ 25.500 ტონა ხილი.

ვარიანის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გიორგი ჭალიძემ თავის სიტყვაში თქვა:

— როგორც სკკპ პროგრამის პროექტშია აღნიშნული, **განვითარების დიდი გზა უნდა განვლონ საბჭოთა მეურნეობებმა.**

ჩვენი მეურნეობის კოლექტივი ყოველწლიურად ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, ზრდის ხილის მოსავლიანობას. წელს მეურნეობამ სამშობლოს მისცა 353 ტონა კურკოვანი ხილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ტონისა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მარცვლეულის, მეტადრე სიმინდის წარმოების გადიდების საკითხებს. სკკპ პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ **მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირითადი რგოლი, მეცხოველეობის სწრაფი ზრდის ბაზა მარცვლეულის წარმოების დაჩქარებული აღმავლობაა.** ამ ამოცანის გადაჭრის საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ გორელ კოლმეურნეებს. წელს რაიონში სიმინდს 11.150 ჰექტარი ფართობი უჭირავს. სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებით მთელი ამ ფართობის თვითეულ ჰექტარზე 31 ცენტნერი სიმინდი უნდა მიიღონ, ხოლო მაღალმოსავლიანი 3.506 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერი.

კონფერენციის დელეგატებმა ყურადღებით მოისმინეს სოფელ ზემოულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. დემეტრაშვილის სიტყვა.

— კოლმეურნეობაში სიმინდის მთელ ფართობს 660 ჰექტარი უჭირავს, — განაცხადა მან, — აქედან 200 ჰექტარი მაღალმოსავლიანია. მთელი ეს ფართობი კვადრატულ-ბუდობრივად დავთესეთ, ხელით შრომის გამოუყენებლად, კომპლექსური მექანიზაციით დავამუშავეთ. მალე მოსავლის აღებას შევუდგებით. იმედი გვაქვს მაღალმოსავლიან ნაკვეთებში საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მივიღოთ, ხოლო 400 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 50 ცენტნერი.

დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ნაკლოვანებათა კრიტიკას. დელეგატები პარტიული პირდაპირობით ამხილებდნენ ჩამორჩენას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში, ლაპარაკობდნენ გამოუყენებელ რეზერვებზე, ხელშემშლელ მიზეზებზე.

— პურეულის მეტად დაბალი მოსავალი მიიღეს სოფლების მეღვრეკისის, შინდისის, ტინისხიდის, ატენის, ფხვენისის, ხვითის, მერეთის კოლმეურნეობებმა.

— ხეხილის ბაღები მოუვლელი და გამეჩხერებულია სოფლების მეჯვრისხევის, ახრისის, ნიქოზის, მეღვრეკისის, კარბის კოლმეურნეობებში, ბერბუკის საბჭოთა მეურნეობაში!

— რაიონში ძროხების წველადობა შემცირდა.

სკკპ ახალი პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ **კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში გაიზრდება საბჭოების როლი, რომლებიც გადაიქცნენ ხალხის ყოვლისმომცველ ორგანიზაციად, მისი ერთიანობის განსახიერებად.** რაიონში კი ზოგი სასოფლო საბჭო კვლავ სუსტად მუშაობს. ასე ითქმის მაგალითად, ნიქოზის, ტყვიავის, ტირძნისის, ზემო ახალსოფლის, მეღებრიანის, ბოშურის სასოფლო საბჭოებზე. ისინი სოფლის მშრომელებს ვერ რაზმავენ მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად.

კონფერენცია ვერ დააკმაყოფილა მერეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ქ. ოქროპირიძის გამოსვლამ. მან ვერაფერი თქვა იმაზე, თუ რას აკეთებენ საბჭოში მასებთან კავშირის განსამტკიცებლად, როგორ უგდებენ ყურს მათ ხმას, რა მუშაობას ეწევიან სოფლის კეთილმოსაწყობად.

რა არის მიზეზი მეურნეობის ცალკეულ დარგებში ჩამორჩენისა?

ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხია გაცემული საანგარიშო მოხსენებასა და დელეგატების გამოსვლებში. აღინიშნა მასებში ორგანიზატორული როლის ამაღლება და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი რაიკომის დახმარების გაძლიერება.

• • •

სკკპ ახალი პროგრამის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მეორე მდივანმა ვ. ყველაშვილმა, ხოლო სკკპ ახალი წესდების პროექტის შესახებ — რაიკომის მდივანმა ბ. გოცირიძემ. ორივე მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდა 8 დელეგატი.

• • •

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა **გ. ს. ძოწენიძემ.**

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, მოიწონა პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტები და განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

• • •

კონფერენციაზე არჩეულ იქნა პარტიის რაიონული კომიტეტი. პლენუმმა პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ი. ტოლიაშვილი**, მეორე მდივნად — **ვ. ყველაშვილი**, მდივნად — **ბ. გოცირიძე.**

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორ.



ვანო ჯორჯაძე 30 წელია მუშაობს მაუდ-კამვოლის კომბინატში. იგი ხელმძღვანელობს საჩეჩი მანქანების ლესვა-მოწყობის ბრიგადას. ამ მანქანების წესიერად გამართვაზე დიდად არის დამოკიდებული პროდუქციის ხარისხი. ჯორჯაძის ბრიგადა ყოველთვის საუკეთესოდ ასრულებს თავის საქმეს, დღეში ორის ნაცვლად სამ საჩეჩ მოწყობილობას ლესავს. სურათზე: ვ. ჯორჯაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

წინასაყრილობო ტრიბუნა

განვიხილავთ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს

კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი

ჩვენი მშობლიური პარტიის ახალი პროგრამის პროექტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კომუნიზმის მშენებელი ადამიანის შეგნებისა და ზნეობის საკითხებს.

პარტიის პროგრამა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების პროგრამაა. სულიერი ცხოვრების არსება კი შეგნებული ზნეობრივი ცხოვრებაა.

პარტიის პროგრამის პროექტში კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალური კოდექსი დახასიათებულია შემდეგი ზნეობრივი პრინციპებით:

— კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება. სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული;

— კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს;

— თვითეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის;

— საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი;

— კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის;

— ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთ პატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა;

— პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში;

— ურთიერთ პატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის;

— შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი;

— სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი;

— შეურიგებლობა კომუნიზმის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი;

— ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყველა ხალხთან.

ყველა ეს პრინციპი ახასიათებს მოწინავე საბჭოთა ადამიანის ზნეობრივ სამყაროს და გამოხატავს მოზარდი თაობისა და მთელი მოსახლეობის ზნეობრივი აღზრდის პროგრამას.

ისმის კითხვა, რა არის ახალი მოცემული პროგრამის პროექტში ზნეობის საკითხებში და როგორია მისი მნიშვნელობა?

როგორც ცნობილია, პოლიტიკური დოკუმენტი, და საერთოდ არავითარი დოკუმენტი, რაიმე ახალ ზნეობრივ ნორმას არ ქმნის, არ იგონებს. ზნეობრივი ნორმები ყალიბდებიან თვით ცხოვრების პროცესში, საზოგადოებრივ პრაქტიკაში. ხოლო ესა თუ ის პოლიტიკური დოკუმენტი, თუ იგი მეცნიერული და პროგრესულია, ასახავს უკვე ჩამოყალიბებულ ზნეობრივ ნორმებს, განჭვრეტს მათი განვითარების პერსპექტივებს და ხელს უწყობს მათ განვითარებას და დამკვიდრებას. სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაშიც. პარტიის ახალი პროგრამის პროექტში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ზნეობრივი სახე უკვე ნათლად არის გამოკვეთილი და რეალურად არსებობს, როგორც პიროვნებისა და ხასიათის უმაღლესი ფორმა.

ამოცანა ახლა ის არის, რომ, ჯერ ერთი, ყველა ასეთი მოწინავე და შეგნებული გახდეს, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო ამაღლდეს და განვითარდეს საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი ბუნება.

პარტიის ახალი პროგრამის პროექტში განზოგადებულია სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ზნეობრივი პროგრესის გამოცდილება და ხაზგასმულია ის ძირითადი ასპექტები, რომლებითაც უნდა წარიმართოს პარტიის შემდგომი აღმზრდელობითი მუშაობა კომუნიზმზე გადასვლის მოსამზადებლად.

უწინარეს ყოვლისა პარტია ამოცანად ისახავს მშრომელთა შეგნებაში მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირების გაუმჯობესებას. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მსოფლმხედველობის მნიშვნელობა ადამიანის შეგნების ფორმირებაში. მსოფლმხედველობა, კაცმა რომ თქვას, თვითონ არის შეგნება, მისი არსება და უმნიშვნელოვანესი შინაარსი. მსოფლმხედველობა ადამიანის გონებრივი და სოციალური გარკვეულობაა. მსოფლმხედველობას შეადგენს სწორედ ის, თუ როგორ ვაზროვნებთ, როგორ გვესმის ბუნების, საზოგადოებისა და ცნობიერების მოვლენები, რაში ვხედავთ ამა თუ იმ მოვლენის მიზეზს, შედეგს, მის თეორიულ თუ პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ჩვენს მსოფლმხედველობას, როგორც ცნობილია, შეადგენს მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც შედგება ფილოსოფიური, ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებისაგან. მარქსიზმ-ლენინიზმი ასეთი ნაწილებისაგან შემდგარი მწყობრი მეცნიერული სისტემაა, რომლის დაუფლება კომუნისტური შეგნებულობის აღზრდის აუცილებელი პირობაა. კომუნიზმის მშენებელი ადამიანი თეორიულად და პრაქტიკულად გათვითცნობიერებული უნდა იყოს. ბრმა მშენებელი ვერაფერს ააშენებს.

მსოფლმხედველობის დაუფლება და კომუნისტური შეგნების აღზრდა პირველ რიგში უნდა გამოვლინდეს **შრომის სიყვარულში.** ამით აიხსნება, რომ პროგრამის პროექტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შრომითი აღზრდის საკითხებს. ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ შრომა უპირველეს ყოვლისა, არსებობის საშუალებაა, ე. ი. ვინც არ შრომობს, ის არც უნდა ჭამდეს. კომუნიზმი თუ დოვლათის სიუხვეა, ეს სიუხვე თვითონ ჩვენ უნდა შევქმნათ. თუ ვინმე თავს არიდებს შრომას ან აკეთებს ძალიან ცოტას და მიაქვს გაცილებით მეტი, ასეთ წამგლეჯებს, მუქთახორებსა და პარაზიტებს გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ასეთივე ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ე. წ. „თეთრი" და „სუფთა" სამუშაოს მაძიებლებს.

შრომითი დასაქმება და განაწილება დამოკიდებულია ადამიანის უნარზე, გამოცდილებაზე, დამსახურებაზე. უნდა ვებრძოლოთ როგორც დამახინჯებებს შრომით დასაქმებაში, ისე დაუმსახურებელ პრეტენზიებს უკეთესი სამუშაოს არჩევაში. ყოველგვარი შრომა, ნათქვამია პროექტში, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი, პატივსაცემი და საპატიოა.

იმის გამო, რომ შრომა უპირველეს ყოვლისა არსებობის საშუალებაა, მის ძირითად სტიმულად კვლავ რჩება მატერიალური დაინტერესების პრინციპი. სოციალიზმის პირობებში დოვლათის განაწილება ხდება შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ვისაც უკეთესი ცხოვრება, ანუ მეტი დოვლათი უნდა, ასევე მეტი და უკეთესად უნდა იმუშაოს. თუ არავის არა სურს სამუშაო საათების ზრდა, სამაგიეროდ ყველას უნდა სურდეს შრომის ნაყოფიერების ამაღლება. სწორედ შრომის ნაყოფიერების ზრდაა ის ძირითადი რგოლი, რომელზეც დამოკიდებულია კომუნიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. ეს არის მთავარი სასინჯი ქვა, მთავარი ბერკეტი, რომელიც წყვეტს არა მარტო მატერიალური დოვლათის სიუხვის პრობლემას, არამედ სულიერი დოვლათისა და საერთოდ ადამიანური ცხოვრების თავისუფლებისა და ბედნიერების პრობლემებს.

მეცნიერების დაუფლებით, კვალიფიკაციის ამაღლებით და ყოველი საქმისადმი შემოქმედებითი ნოვატორული მიდგომის მასობრივი დანერგვით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ნაკლები სახსრებით და ნედლეულით, ნაკლებ დროში შევქმნათ მეტი და უკეთესი პროდუქტი. მხოლოდ ამ გზით შეძლებს ჩვენი თაობის ადამიანი არა მარტო ააშენოს კომუნიზმი, არამედ იცხოვროს კიდეც კომუნიზმში. როცა ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენი თაობის ადამიანი იცხოვრებს კომუნიზმში, იგულისხმება არა მარტო ახალგაზრდობა ან საშუალო თაობა, არამედ სწორედ უფროსი თაობაც. რაც უფრო მეტი იქნება ყოველი ჩვენგანის შრომითი აქტივობა, მით უფრო მალე გადავალთ განაწილების კომუნისტურ პრინციპზე, მით უფრო მალე განხორციელდება კაცობრიობის ეს საუკუნოვანი ოცნება.

ამრიგად, **ჩვენს შრომით აქტივობაზეა დამოკიდებული კომუნიზმის მშენებლობის მთელი ამოცანა.** მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. პარტიის პროგრამის პროექტში ხაზგასმულია, რომ შრომა საბჭოთა ადამიანისათვის უნდა იყოს არა მარტო არსებობის საშუალება, არა მარტო მატერიალური დოვლათის, შემოსავლის წყარო, არამედ საზოგადოების წინაშე ვალის მოხდის, ზნეობრივი სიხარულის, შემოქმედების, აღფრთოვანებისა და პირადი ბედნიერების წყარო. კომუნისტური შრომა გულისხმობს არა გასამრჯელოსათვის შრომას, არამედ შრომას როგორც მოთხოვნილებას, როგორც ადამიანის სოციალური ბუნების რეალიზაციას, როგორც სიხარულისა და ბედნიერების წყაროს.

შეგნებული და თავისუფალი შრომის გარეშე, მიმზიდველი და სასიამოვნო შრომის გარეშე არ არსებობს კომუნისტური საზოგადოება. თუ სოციალიზმის პირობებში შრომის მთავარი ნიშანი მისი აუცილებლობაა, როგორც არსებობის საშუალება, კომუნიზმის პირობებში შრომის მთავარი ნიშანია **თავისუფლება**, როგორც არსებობის არა მარტო საშუალება, არამედ მთელი ცხოვრების შინაარსი, როგორც პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება. შრომისადმი ასეთი კომუნისტური დამოკიდებულება უნდა დამკვიდრდეს სწორედ ახლა. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს გვაძლევენ გაგანოველები, კომუნისტური შრომის ბრიგადები და სხვები, საჭიროა ამ მოძრაობის კიდევ უფრო გაშლა და განვითარება.

თავის მხრივ შრომა მხოლოდ მაშინ გადაიქცევა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად, როცა იგი მაქსიმალურად იქნება შემსუბუქებული და უნივერსალური ტექნიკით აღჭურვილი, ე. ი. როცა შრომა იქნება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ **გონებრივი, შემოქმედებითი მოღვაწეობა.** შრომის ნაყოფიერებაც მხოლოდ ასეთ პირობებში მიაღწევს განვითარების მაღალ საფეხურებს. გონებრივი და ფიზიკური შრომის ასეთი დაახლოებისა და ამაღლების საქმეს ემსახურება პარტიის ღონისძიებანი უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარების დარგში.

პარტიის ახალი პროგრამის პროექტი მოსახლეობის შრომით [illegible] ნებს საერთოდ ზნეობრივ აღზრდას, კომუნისტური მორალის დამკვიდრებას. როცა ადამიანს უყვარს შრომა და შრომის ფასი იცის, მას არ შეიძლება არ უყვარდეს მშრომელი და პატივს არ ცემდეს მას. სხვა ადამიანის დაფასება, პატივისცემა, დახმარება და ერთგულება — სწორედ ეს არის კომუნისტური ზნეობის არსი.

კომუნისტური მორალი შეიცავს ძირითად, ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებს, რომლებიც ხალხის მასებმა შეიმუშავეს მრავალი ათასი წლის მანძილზე სოციალური ჩაგვრისა და სხვა ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვა ზნეობრივ პრინციპებს შორის პროგრამაში ხაზგასმულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის განვითარება.

პროგრამის პროექტში **ნათქვამია, რომ** პარტია დაუცხრომლად აღზრდის საბჭოთა ადამიანებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყველა ღონისძიებით შეუწყობს ხელს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებას.

ავითარებს რა საბჭოთა ხალხის სიყვარულს თავისი სამშობლოსადმი, პარტია ემყარება იმას, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის შემდეგ სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა პატრიოტიზმი გამოიხატება თავისი სამშობლოსადმი, სოციალისტური ქვეყნების მთელი თანამეგობრობისადმი ერთგულებით და თავდადებით. სოციალისტური პატრიოტიზმი და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ორგანულად შეიცავს პროლეტარულ სოლიდარობას ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან, მშრომელებთან. შესაბამისად კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, რასიზმისა და კოსმოპოლიტიზმის რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

პროგრამის პროექტში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ძველი ცხოვრების მავნე გადმონაშთების დაძლევას ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში. კომუნისტური აღზრდის შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის გადმონაშთების, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთების და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ.

წარსულის გადმონაშთების, ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ცნობილია, დიდი როლი ეკუთვნის საზოგადოებრიობას, საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას. დასჯას თანდათან შეცვლის აღზრდა, იძულებას — შეგნება. ადმინისტრაციული ზომების მაგიერ სულ უფრო დამკვიდრდება ამხანაგური გაკიცხვა და დაგმობა. კიდევ უფრო მეტი აღმზრდელობითი მნიშვნელობა მიეცემა დადებითი მაგალითის ძალას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. ცხადია, იქ, სადაც არ გაჭრის ზემოქმედების საზოგადოებრივი აღმზრდელობითი ფორმები, — გამოყენებული იქნება ადმინისტრაციულ-იძულებითი ზომები. სასამართლო, მილიცია და სხვა მოიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მოქალაქე სამართლიანი, წესრიგის დამცველი იქნება და დანაშაულობა იშვიათ გამონაკლისად იქცევა.

ცხადია, ეს კომუნიზმის შორეული პერსპექტივებია, მაგრამ აქეთკენ მივდივართ და ამ სვლის ტემპები ბევრწილად თვით ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ყოველი ჩვენგანი გააქტიურდება ძველი ცხოვრების მავნე გადმონაშთების, დანაშაულებათა და მანკიერებათა წინააღმდეგ, მაშინ ბევრად დავაჩქარებთ კომუნიზმის გამარჯვებას.

ლაპარაკია არა მარტო იმაზე, რომ არ უნდა მივჩქმალოთ სხვისი დანაშაული, არ უნდა შევეგუოთ ბოროტებას, ნაკლოვანებას და ყოველთვის ვამხილოთ ისინი, არამედ უპირველეს ყოვლისა იმაზე, რომ ჩავიხედოთ საკუთარ ზნეობრივ სამყაროში, საკუთარ სინდისში, გადავსინჯოთ ჩვენი ქცევისა და მოქმედების არა მარტო გარეგნული გამოვლინებანი, არამედ მოტივები, განზრახვები, ჩვენი ინდივიდუალური მიზნები და მისწრაფებები, გადავხედოთ და გავწმინდოთ ეს ჩვენი ინტიმური სულიერი სამყარო ისეთი ელემენტებისაგან, რასაც ვძრახავთ სხვა ადამიანებში, რასაც გმობს მთელი საზოგადოება. ყველა უნდა ცდილობდეს არ დაუშვას გათიშვა შეგნებასა და მოქმედებას შორის. მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო საზოგადოებრივი დანაშაულისა და ბოროტების ფაქტებს, უპრინციპობას, მლიქვნელობას და სხვა მანკიერებას.

პარტიის ახალი პროგრამის პროექტი მოუწოდებს ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, ყოველ პატიოსან ადამიანს გაშალონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ყოველი მანკიერებისა და ბოროტების წინააღმდეგ, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის რაც შეიძლება მალე დასამთავრებლად. საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, შემოქმედებითი ოპტიმიზმი და შეგნებული მიზანსწრაფვა საკმაო გარანტიაა იმისა, რომ ეს პროგრამაც ისევე წარმატებით განხორციელდება, როგორც განხორციელდა პარტიის პირველი და მეორე პროგრამა.

გ. ბანძელაძე,
თბილისის ი. ბ. სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

სტუმრები ოშაკანიდან

მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ

ორი წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან და მეგობრობენ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის და სომხეთის სსრ აშტარაკის რაიონის სოფელ ოშაკანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობების მშრომელები.

ამ დღეებში ვაზისუბანში სტუმრად იყო მოძმე სომხეთის კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოშაკანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გურგენ გუკასიანი. ვაზისუბნელმა კოლმეურნეებმა გულთბილად მიიღეს სომეხი მეგობრები. სტუმრებმა დაათვალიერეს მინდვრები, ვენახები, მეცხოველეობის ფერმები. მეგობრებს შორის გაიმართა საინტერესო საუბრები იმაზე, თუ რა მეთოდებს იყენებს ორივე კოლმეურნეობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მოყვანისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისა და კოლმეურნეობაში შრომის უკეთესად მოწყობისათვის.

მასპინძლებმა სურვილი გამოთქვეს წელს ერთ ჰექტარზე გააშენონ ოშაკანის კოლმეურნეობაში გავრცელებული უხვმოსავლიანი ვაზის ჯიში, რომლის შაქრიანობა 25-30 პროცენტს შეადგენს. სტუმრებმა ვაზისუბნელებს აღუთქვეს, რომ გამოუგზავნიან საჭირო ნერგს.

ოშაკანელმა სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის და ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმები ყვარელსა და წინანდალში. იყვნენ აგრეთვე შუამთაში.

ს. შაქარაშვილი.

სოფლად რომ მეტი დოვლათი იყოს

დელეგატები ხაშურისაკენ მოეშურებოდნენ. მათ თან ჩამოიტანეს და რაიონის 35-ე კონფერენციას მოახსენეს თავიანთი ფიქრები, მისწრაფებანი, სურვილები.

რაიკომის მეორე მდივნის ზ. აბაზაძის საანგარიშო მოხსენებაში სწორად იყო ასახული რაიკომის მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

— ჩვენ ახლა დიდ საოცრებათა ეპოქაში ვცხოვრობთ, — თქვა მან. — ჩვენი ადამიანები შეეჩვივნენ იმას, რომ რასაც გუშინ მივაღწიეთ, დღეს იგი აღარ გვაკმაყოფილებს, დღევანდელი მიღწევა კი ხვალისათვის არასაკმარისია. ჩვენი ხალხი დევგმირული ნაბიჯებით მიდის კომუნიზმის ნათელ გზაზე. ჩვენც ხომ დიდი საბჭოთა ხალხის დიდი ოჯახის ღირსეული წევრები ვართ, ამიტომ გუშინდელი მიღწევებით დაკმაყოფილება არ შეგვეფერის.

„პარტია აყენებს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრ აღმავლობას, რაც საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ ორი ძირითადი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ამოცანა: ა) მივაღწიოთ კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულის სიუხვეს მრეწველობისათვის; ბ) უზრუნველვყოთ საბჭოთა სოფლის თანდათანობით გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და ძირითადად აღმოვფხვრათ განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის" — ნათქვამია მშობლიური კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში.

რა გაკეთდა ამ მხრივ რაიონში საანგარიშო პერიოდში, როგორ ხვდება ხაშურის რაიონი პარტიის XXII ყრილობას?

ცნობილია, რომ ხაშურის რაიონში უმთავრესად მემარცვლეობა, მეჭარხლეობა, მეხილეობა და მეცხოველეობაა განვითარებული.

მართალია თავთავიანი მარცვლეული კულტურებისათვის წელს სახარბიელო ამინდი არ იყო, მაგრამ სადაც ნათესებს აგროტექნიკური წესების ზუსტად დაცვით უვლიდნენ, იქ შედეგიც კარგი იყო. ამიტომ სწორი არ არის, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ყველაფერს უამინდობას აბრალებს. როგორ მოიყვანეს შედარებით კარგი მოსავალი წრომის, ჯვართუბნის, ბალების და სხვა კოლმეურნეობებმა? ამინდის პირობები ხომ ისეთივე იყო, როგორც დანარჩენ სოფლებში?

მარცვლეული კულტურებიდან აღსანიშნავია სიმინდი. იგი ხაშურის რაიონის „მინდვრის დედოფალიც" არის და მას ისე უნდა ვუვლიდეთ, როგორც დედოფალს შეშვენის. რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში სიმინდს 4.598 ჰექტარი ფართობი უჭირავს. მშრომელთა ვალდებულება 2.050 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღონ, ბევრმა მოწინავე მესიმინდემ კი 70-100 ცენტნერის მიღებაც იკისრა. ვალდებულება პირნათლად შესრულდება.

შაქრის ჭარხალიც კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითადი წყაროა. ნათესებს ბევრგან კარგად უვლიან, მოსავალსაც კარგს მოელიან. მაგრამ ზოგან თესვის აგროვადები და აგროწესები დაარღვიეს.

დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მევენახეობა და მეხილეობა. ხილის ბაღებს რაიონში 1.534 ჰექტარი ფართობი უჭირავს, ხოლო ვენახს — 623 ჰექტარი, წელს ვენახებს კარგი პირი უჩანს, მაგრამ მეხილეობაზე ამას ვერ ვიტყვით. ხეხილის ბაღების საკმაო ფართობები უყურადღებობით გამეჩხერდა. რაიონის ხელმძღვანელობა კი ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

მართალია რძის წარმოება შარშანდელთან შედარებით უკეთესია, მაგრამ საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა მიმდინარე წლის შვიდ თვეში შარშანდელთან შედარებით 109 ლიტრით ნაკლებია. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ შარშან თვალისახვევის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. თვითეული ხბოს კვებაზე რაიონში 400 კილოგრამი რძე იყო დახარჯული, რაც არარეალურია. წელს ეს აღარ გამეორდება.

ხაშურის რაიონსაც აქვს თავისი შვიდწლიანი გეგმა, ჰყავს მოწინავე ადამიანთა მრავალათასიანი არმია, რომლის ავანგარდში კომუნისტები და კომკავშირელები არიან. სასახელო შრომამ, კულტურულმა ცხოვრებამ სახე უცვალა რაიონის სოფლებს. ის, რაც 40 წელიწადში გაკეთდა, წინათ ასობით წლებში არ გაკეთებულა.

— საბჭოთა პერიოდში სურამი დაბად იქცა, — ამბობს სურამის სანატორიუმის დირექტორი პ. იოსელიანი, — გამშვენიერდა მისი შემოგარენი, ხოლო ქუჩები ქალაქის ყაიდაზეა გაშენებული. კომუნალური მომსახურებაც კარგია, მაგრამ ჯერ ყველაფერი არ არის სრულ წესრიგში. მშობლიური კომპარტიის პროგრამის პროექტში გათვალისწინებულია, რომ უახლოეს ოც წელიწადში სოფლები სახეს იცვლიან, მშრომელთა ცხოვრების პირობები კი ქალაქის მცხოვრებლებზე ნაკლები როდი იქნება.

— მართლაც საჭიროა ყველა სოფელი ქალაქს ჰგავდეს, — ამბობს წრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გოგალაძე, — ჩვენს სოფელში უმაღლესი განათლების მქონე ბევრი სპეციალისტია, მაგრამ აქ როდი ჩერდებიან, სამუშაოდ ქალაქს უფრო ეტანებიან. შემდეგში ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი სოფლები, რომ ასე აღარ მოხდეს.

დელეგატმა ბ. მაისაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგ კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერება დაბალია, პროდუქტების თვითღირებულება კი გაიზარდა. რაიონში შარშან ერთი კილოგრამი რძე 3 მანეთი და 68 კაპიკი დაჯდა, ზოგ კოლმეურნეობაში კი უფრო მეტიც. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყურადღება არ ექცევა დაგეგმვასა და ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებას.

ტაშისკარის სარწყავი არხი ხაშურის რაიონის მინდვრებზე გადის. შესაძლებელია ამ არხით 2.500 ჰექტარზე მეტი ფართობის მორწყვა და მაღალი მოსავლის მიღება, მაგრამ ოსიაურის, თავვეთისა და სხვა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების უყაირათობით რწყვა არ ეწყობა და, ცხადია, მოსავალიც ნაკლებია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების შესახებ კონფერენციის დელეგატებმა მოისმინეს რაიკომის მდივნების ზ. აბაზაძისა და კ. მოწონელიძის მოხსენებები.

სიტყვებით გამოსულმა სალოკომოტივო დეპოს პარტბიუროს მდივანმა გ. კორკოტაძემ, ქვიშხეთის მერძევეობა-მებოსტნეობის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის პარტკომის მდივანმა შ. ზუმბაძემ, სურამის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა შ. გურეშიძემ, რაიკომის პარტიული განათლების კაბინეტის გამგემ მ. მახათაძემ, რაიონული გაზეთის რედაქტორმა ლ. კაკიაშვილმა და სხვებმა პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტები მხურვალედ მოიწონეს და წამოაყენეს თავიანთი წინადადებები.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დ. დუმბაძემ. მან ილაპარაკა იმ შეცდომებსა და ნაკლოვანებებზე, რომლებიც პარტიის ხაშურის რაიკომს ჰქონდა. ამხანაგმა ფ. დ. დუმბაძემ კონფერენციის დელეგატების ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა უქნარების, მუქთახორების, საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლების წინააღმდეგ.

კონფერენციამ მიიღო დადგენილებანი მოხსენებათა გამო. რაიკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

• • •

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც პარტიის ხაშურის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ზ. აბაზაძე, მეორე მდივნად — კ. მოწონელიძე, მდივნად — ო. ღონღაძე.

ვ. გოზალიშვილი.

ახალი ტექნიკის დანერგვით

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკას (დირექტორი ვ. ხოფერია) წლიური გეგმით უნდა გამოეშვა 552 ტონა ბაიხაო ჩაის მზა პროდუქცია, ხოლო შვიდ თვეში — 325 ტონა. ფაქტიურად შვიდ თვეში გამოშვებულია 380 ტონა სურნელოვანი ჩაი.

აღნიშნულ წარმატებებს ფაბრიკის კოლექტივმა მიაღწია ახალი ტექნიკის დანერგვით, საგრეხი განყოფილების მექანიზაციით და გრეხის ახალი მეთოდის შემოღებით. ამან სადღეღამისო წარმადობა 25 ტონით გაადიდა.

ამ წარმატებათა მოპოვებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მგრეხავმა ლ. გორიანოვამ, მხმობელმა ვ. ჩხარჩხალიამ, დამხარისხებელმა მ. კვარაცხელიამ და სხვ.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 1 სექტემბრისათვის შეასრულოს და გეგმის ზევით გამოუშვას 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„გაბზარული ავტორიტეტი"

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის კოლმეურნეობისა და პარტორგანიზაციის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი.

პარტიის კასპის რაიკომი გვაცნობებს: **წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა.**

კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაუმუშავებლობის, მეცხოველეობის პროდუქტების შემცირებისა და შრომის დისციპლინის შესუსტების გამო ზომების მიუღებლობისათვის პარტიის კასპის რაიკომის ბიურომ ლამისყანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თ. ოსიშვილს გამოუცხადა საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით.

რაიკომის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ გ. გიგაური განთავისუფლებულია ლამისყანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნობიდან.

გაფრთხილებულ იქნა კოლმეურნეობის ბუღალტერი თ. პაიაშვილი, რომ თუ იგი უახლოეს პერიოდში არ უზრუნველყოფს ანგარიშწარმოებაში სათანადო წესრიგის დამყარებას, მკაცრად დაისჯება.

რაიკომის ბიურომ დაავალა რაიონის პროკურატურას პირველ სექტემბრამდე შეისწავლოს ლამისყანის კოლმეურნეობაში 1960 წელს 4 ჰექტარზე გაშენებული ვენახის დაღუპვის მიზეზი და სასამართლო პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პირები.

გარდა აღნიშნულისა, რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.



სურათზე: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწნეხ-საძარე საამქროს მწნეხავი ზაირა გელენიძე, რომელიც ყოველთვიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ახალი წარმატებებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პლენუმზე

✦

პარტიის ახალქალაქის რაიკომის ამასწინანდელ პლენუმზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორებმა, სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, წარმოების ნოვატორებმა, ყოველმხრივ განიხილეს რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სოფლის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის დარაზმვად ეკონომიური და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაჭრისათვის, რომლებიც დასახული აქვს რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ რაიონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, — თქვა პლენუმზე გამოსულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ი. ქადაგიძემ, — მიზანშეწონილად ცნო გაერთიანოს ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონები ერთ გამსხვილებულ რაიონად. ეს ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას, იმ ამოცანათა წარმატებით გადაჭრას, რომლებიც დასახულია რაიონის მშრომელთა წინაშე.

პატარა რაიონების გაერთიანებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამის შედეგად გამარტივდება და გაიაფდება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატი, სწორად განაწილდება კადრები, უკეთ გამოვიყენებთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

როგორც ცნობილია, ბოგდანოვკის რაიონი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი რაიონია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. რაიონი წლითი წლობით წარმატებით ასრულებს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის დავალებებს, ხოლო ახალქალაქის რაიონი მეცხოველეობასთან ერთად ცნობილია თავისი მიღწევებით მემინდვრეობასა და მებოსტნეობაში. განსაკუთრებით კარგი სახელი გაითქვეს რაიონის მებოსტნეებმა. მაგალითად, დიდძალი კარტოფილი, რომელსაც ისინი აწარმოებენ, იგზავნება თბილისში და რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და სამრეწველო ცენტრებში.

ამ რაიონების გაერთიანების შედეგად იქმნება ახალი პერსპექტივები ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, სამრეწველო საწარმოს ეკონომიკის განმტკიცებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამორჩებიან. არსებული ბუნებრივი და კლიმატური პირობები საშუალებას იძლევიან ორივე რაიონის კოლმეურნეობები მრავალდარგობრივი გახდნენ. ისინი დაეხმარებიან ერთმანეთს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებაში, გაუზიარებენ შეძენილ გამოცდილებას.

კიდევ უფრო ამაღლდება მშრომელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება. სულ მალე დაბა ბოგდანოვკაში, მაგალითად, მწყობრში ჩადგება ადგილობრივი მეურნეობის საწარმოები, ხოლო განთავისუფლებულ ადმინისტრაციულ შენობებს დაიკავებენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დაწესებულებანი.

პლენუმზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომელიც ახლა საკოლმეურნეო სოფელშია. ყველგან ამ დღეებში მხურვალედ განიხილავენ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს. ასობით კომუნისტმა და უპარტიომ ერთსულოვნად მოიწონა ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები, შეიტანა მათში ბევრი კონკრეტული წინადადება და შენიშვნა. სოფლის მშრომლები გამოთქვამენ მზადყოფნას მთელი თავიანთი ძალა მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პროგრამის განხორციელებას, რომელიც პარტიამ დასახა.

სოფელ ხულგუმოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ს. გულახსზიანმა ილაპარაკა იმ არტელის წევრთა შრომითს საქმეებზე, რომელსაც იგი მეთაურობს. ხულგუმოელი კოლმეურნეები შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის გადაწყვეტილებებს, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მითითებებს როგორც საბრძოლო პროგრამას. კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს შვიდწლედის მესამე წლის დავალებებს. საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი დარგის წარმატებანი ნათელია, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევია ისინი მეცხოველეობის დარგში. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სამი კვარტალის გეგმა. მიღებულია გადაწყვეტილება მეცხოველეობის პროდუქტების გაყიდვის წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, 17 ოქტომბრისათვის — ყრილობის გახსნის დღისათვის.

ამხ. გულახსზიანმა, აგრეთვე პლენუმის სხვა მონაწილეებმა ილაპარაკეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საარსებო ამოცანების შესახებ. საჭიროა გაიზარდოს საზოგადოებრივი ჯოგის ხვედრითი წონა მეცხოველეობის საერთო სულადობაში, გავაუმჯობესოთ პირუტყვის მოვლა, უზრუნველვყოთ იგი კარგი შენობებით, მოვახდინოთ მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

უკანასკნელი წლების მანძილზე ამ რაიონში საპატიო ადგილი დაიკავა ძვირფასმა საკვებმა და სასურსათო კულტურამ—სიმინდმა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, ყველა მემინდვრის ამოცანაა დროულად აიღონ უხვი მოსავალი, ღირსეულად შეასრულონ თავიანთი ვალი სახელმწიფოს წინაშე.

შემდგომში სიმინდისა და სხვა საკვები კულტურების ნათესები კიდევ უფრო გაფართოვდება. უფრო რაციონალურად იქნება გამოყენებული საზაფხულო საძოვრები.

ოკამის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ს. გ. მასხარაშვილმა აღნიშნა, რომ მეურნეობაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა რძის წარმოება ერთ ძროხაზე. ეს არის იმის შედეგი, რომ ცუდად ვუვლიდით პირუტყვს, სუსტად ვნერგავდით მეცხოველეობაში მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თავისი მეურნეობა გახადოს რენტაბელური, მიაღწიოს პირუტყვის სულადობის ზრდას, გაზარდოს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და შეამციროს მისი თვითღირებულება.

დიდი ყურადღება მიაქციეს პლენუმის მონაწილეებმა კულტურული მშენებლობის საკითხებს. ეშტის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ს. კაზარიანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა გაფართოვდეს საკოლმეურნეო სოფლების, სასოფლო გზების კეთილმოწყობის, ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის სამუშაოები.

პასუხსაგები ამოცანებია დასახული პარტიული ორგანიზაციების წინაშე მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ამის შესახებ ილაპარაკა, კერძოდ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ა. დურგარიანმა. მან აღნიშნა, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა კომუნისტებს შორის, დარაზმონ ისინი ყველაზე აქტუალური და საჭირბოროტო ამოცანების გადასაჭრელად.

პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი ნ. ს. ბოგდანი შეეხო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა პოლიტიკური სიფხიზლის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის. რაიონის ტერიტორიაზე ერთ მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები. პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანაა ის, რომ ყოველთვის იქონიონ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები თავიანთი საქმიანობის ცენტრში.

პლენუმის მონაწილეებმა რაიონის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით მოიწონეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონები გაერთიანდეს ერთ ახალქალაქის რაიონად.

მიღებულ გადაწყვეტილებაში დასახულია კონკრეტული ამოცანები, რომლებიც დასმულია რაიონის წინაშე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ რაიონის კომუნისტები და ყველა მშრომელი პარტიისა და მთავრობის მამობრივი ზრუნვის პასუხად ყველაფერს გააკეთებენ, რათა თავიანთი რაიონი გადააქციონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ერთ-ერთ დიდ ცენტრად, ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტიის მომავალ ყრილობას შეხვდებიან ახალი წარმატებებით შვიდწლედის დავალებათა განხორციელებისათვის, ჩვენი ქვეყნის ახალი აყვავებისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

საკდესის ცნობა

როგორც ცნობილი გახდა, უკანასკნელ ხანს უცხოეთის წყალქვეშა ნავებმა არაერთხელ დაარღვიეს სსრ კავშირის საზღვაო სახელმწიფო საზღვარი. ამასთან უცხოეთის წყალქვეშა ნავები საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში შემოდიოდნენ წყალქვეშა მდგომარეობაში, აწყობდნენ მანევრირებას და ეწეოდნენ დაზვერვას.

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და სსრ კავშირის კანონმდებლობის მიხედვით უცხოეთის წყალქვეშა ნავებს შეუძლიათ შემოვიდნენ საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში მხოლოდ სსრ კავშირის მთავრობის ნებართვით და ამ წყლებში ყოფნის დროს წყალზევით უნდა იყვნენ.

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში წყალქვეშა ნავების წყალქვეშა მდგომარეობაში შესვლა უნებართვოდ ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტის უხეში დარღვევაა და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობამ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მისცა ინსტრუქციები ამიერიდან საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში უცხოეთის წყალქვეშა ნავების აღმოჩენისას, რომლებმაც დაარღვიეს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი და წყალქვეშა მდგომარეობაში არიან, განახორციელოს ღონისძიებანი დამრღვევის მოსასპობად.

✦

ალჟირის დროებითი მთავრობის რეორგანიზაცია

პარიზი, 27 აგვისტო. (საკდესი). ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ფერჰატ აბასის ნაცვლად დანიშნულია იუსეფ ბენ ჰედა.

„ველით ქართველ მსახიობებს [illegible]"

ოსლო, 27 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. გავილოვი იუწყება: ევროპისა და ამერიკის ბევრ ქვეყანაში იყო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, და მისი გამოსვლა ყველგან წარმატებით მიმდინარეობდა. ჩვენ დიდხანს ვიყავით საგასტროლოდ შეერთებულ შტატებში, [illegible] გავმართეთ ლონდონში, ბევრი გამოსვლა გვქონდა საფრანგეთში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. ი. ჭიაურელმა.

უახლოეს ხანში ანსამბლი მოაწყობს ტურნეს სკანდინავიის ქვეყნებში. ანსამბლი გამოვა ფინეთში, შვეციაში, ხოლო 25 ნოემბერს ქართველი მსახიობები ჩავლენ ოსლოში, სადაც 5 კონცერტს გამართავენ ნორვეგიის ოპერის სცენაზე.

უკვე დიდი ხანია ნორვეგიის თეატრალური საზოგადოებრიობა გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს საქართველოს საუცხოო ანსამბლის გამოსვლებს, რომლებიც მიმდინარეობს უცვლელი ტრიუმფული წარმატებით, გვითხრა ნორვეგიის ოპერის დირექტორმა გუნარ ბრიუნვოლმა.

მოხარული ვართ შევხვდეთ ჩვენს ოსლოში უმაღლესი კლასის მსახიობთა ამ შესანიშნავ უნიკალურ კოლექტივს, რომელიც ნორვეგიელ საზოგადოებას გააცნობს საქართველოს მდიდარ ხალხურ ფოლკლორს, ქართველი ხალხის კულტურას.

ნორვეგიელთა ინტერესი ანსამბლის გამოსვლისადმი იმდენად დიდია, რომ ნორვეგიის ოპერამ გადაწყვიტა, მიუხედავად ეკონომიური სიძნელეებისა, ამოიღოს პროგრამიდან წინათ დაგეგმილი წარმოდგენები, რათა საბჭოთა მსახიობებს დაუთმოს სცენა.

ქართული ანსამბლის მომავალი გამოსვლა ხელს შეუწყობს ნორვეგიასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას და ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგების ზრდას, თქვა დასასრულ ბრიუნვოლმა.

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტთან ლინდონ ჯონსონთან ერთად დასავლეთ ბერლინში ჩავიდა ათას ხუთასი ამერიკელი ჯარისკაცი. რისთვის? დასავლეთბერლინელთა „თავისუფლების დასაცავად", გვარწმუნებენ ბატონი ჯონსონები. მაგრამ დასავლეთ ბერლინზე თავდასხმას ხომ არავინ არ აპირებს და მის მცხოვრებთა თავისუფლებას არავინ არ ხელყოფს.

მაშ რას გააკეთებენ ოკუპანტთა ახალი ასეულები დასავლეთ ბერლინში? დასავლეთის პრესა იუწყება, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარები მიყვანილი არიან სექტორთა საზღვრებთან, და, ამრიგად, დასავლეთ ბერლინის მცხოვრებნი რკალში არიან მოქცეულნი. ამასობაში კი ოკუპანტები საჩქაროდ ეწევიან წვრთნას... მშვიდობიან მცხოვრებთა დემონსტრაციებთან საბრძოლველად. ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნიდან" ამოღებულ სურათზე თქვენ ხედავთ „ამბოხებულ" მოსახლეობასთან ანგარიშის გასწორების ინსცენირებას. ჯერჯერობით უნიფორმიან ამერიკელ ჯარისკაცებს იერიში მიაქვთ ჯარისკაცებზე, რომლებსაც სამოქალაქო ტანსაცმელი გადაუცვამთ და შაშხანების მაგიერ ხელში პლაკატები უჭირავთ. „თავისუფლების დამცველნი" ვარჯიშობენ, როგორ ჩაახრჩონ თავისუფლება. და დამახასიათებელია: სამიზნოდ გამოუყვანიათ ამერიკელი ზანგი ჯარისკაცები. ყველაფერი ისეა, როგორც „დემოკრატიულ" ამერიკაში!

ინგლისის შავი დღე

ლონდონი, 26 აგვისტო. (საკდესი). პარასკევი, 25 აგვისტო ინგლისის ისტორიაში შევა ისე, როგორც შავი დღე, წერს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „დეილი უორკერი", კომენტარს უკეთებს რა დასავლეთ გერმანიის ჯავშანსატანკო ჯარების პირველი კონტინგენტების შემოსვლას ინგლისში.

ახლა, როცა ბუნდესვერის ჯარები ინგლისის მიწა-წყალზე იმყოფებიან, წერს გაზეთი, — ჩვენი ქვეყანა მიჯაჭვულია ადენაუერის ეტლისადმი. თუ იგი, განაგრძობს „დეილი უორკერი", თავს დაესხა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ეს ავტომატურად ჩაითრევს კონფლიქტში ჩვენს ქვეყანას.

„ბუნდესვერის ჯარების ჩამოსვლა ასეთ დროს, — გაფრთხილებას იძლევა გაზეთი, — აძლიერებს ინგლისისათვის საფრთხეს, რომელიც ისედაც სერიოზულია დასავლეთის სახელმწიფოთა უგუნური პოლიტიკის შედეგად. ეს მოვლენა წააქეზებს უღრესად თავგამოდებულ მილიტარისტებს დასავლეთ გერმანიაში, წააქეზებს ნაცისტებს, რომელნიც მხარს უჭერენ ადენაუერს, და რომელნიც რევანშს ესწრაფვიან წარსულ ომში დამარცხებისათვის."

ბონი, 26 აგვისტო. (საკდესი). „ინგლისში" — გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ" ასეთი წარწერით ათავსებს დღეს ფოტოსურათს, რომელზეც აღბეჭდილია დასავლეთ გერმანიის ტანკების ჩატვირთვა სატრანსპორტო გემ „ტრაუტენფელსში". ეს გემი უკვე გავიდა დასავლეთ გერმანიის ბრემერჰაფენის ნავსადგურიდან გემს მიაქვს მ-48 ტიპის 40 ტანკი და ბუნდესვერის 84-ე სატანკო ბატალიონის სხვა აღჭურვილობა. 9-დან 30 სექტემბრამდე ეს ბატალიონი აწარმოებს სამხედრო წვრთნას ინგლისის ბაზა კასლმარტინში. იქ უკვე ჩავიდა ბუნდესვერის ჯარისკაცთა და ოფიცერთა პირველი ჯგუფი. ბატალიონის ძირითადი კონტინგენტი ინგლისს გაიგზავნება თვითმფრინავებით სექტემბრის პირველ რიცხვებში.

მაკმილანის განცხადება

ლონდონი, 27 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „სანდი ტელეგრაფმა" დღეს გამოაქვეყნა პრემიერ-მინისტრ მაკმილანის განცხადება, რომელიც მან გააკეთა „მოუმზადებელ პრეს-კონფერენციაზე" გლენიგლსში (შოტლანდია), სადაც იგი ისვენებს.

განცხადება მიეძღვნა დასავლეთ ბერლინის საკითხს. „არავინ არ აპირებს იომოს ბერლინის გამო", — თქვა მაკმილანმა. „ეს ერთ-ერთი პრობლემაა,— განაგრძო მან,—რომლის შესახებაც უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე, რათა არავინ არ ჩაიდინოს სისულელე. ვფიქრობ, ომის საფრთხე გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ იარაღი ასეთი დამანგრეველი არ იყოს. 50 წლის წინათ ჩვენში შეიძლებოდა დაწყებულიყო ომი. ახლა იგი არავის არ მოუტანს დიდ სიამოვნებას. მაგრამ უგუნურების საფრთხე ყოველთვის არსებობს, — დასძინა მან, — მე მიმაჩნია, რომ მოვლენათა მსვლელობა ფრიად საგანგაშოა, მაგრამ ამაზე მეტი არაფერია".

კითხვაზე შეიცვალა თუ არა მდგომარეობა, მაკმილანმა უპასუხა: „ახალი არაფერია. ამიტომ ახლა მე ლონდონში არა ვარ".

როცა მაკმილანს ჰკითხეს, ხომ არ აშინებს მას საქმის ახლანდელი მდგომარეობა, როცა ორივე მხარის ქვემეხები ერთმანეთს უმიზნებენ, პრემიერ-მინისტრმა უპასუხა: „ვფიქრობ, ყოველივე ამას პრესა აღვივებს. არავინ არ აპირებს იომოს ამის გამო".

აქვეყნებენ რა მაკმილანის ამ განცხადებას, გაზეთები გამოჰყოფენ მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ახლანდელი მდგომარეობა არ შეიცავს ომის უშუალო საფრთხეს. გაზეთ „სანდი ექსპრესის" მიმომხილველი ალან უოტკინსი წერს, რომ მოვლენათა „ოპტიმისტური" შეფასება, რომელიც მაკმილანმა მისცა მას შემდეგ, რაც ამერიკის მთავრობამ გამოაცხადა 75 ათასზე მეტი რეზერვისტის გაწვევა არმიაში, „როგორც ჩანს, უკმაყოფილებას გამოიწვევს ვაშინგტონში".

დასავლეთის სახელმწიფოების ნოტები

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა გუშინ გამოაქვეყნეს ტექსტი ნოტებისა, რომლებიც წარმოადგენენ პასუხს საბჭოთა მთავრობის ნოტაზე დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი იმის შესახებ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უკანონოდ და შეუწყნარებლად ერევა დასავლეთ ბერლინის საქმეებში და რომ დასავლეთის სახელმწიფოები არღვევენ 1945 წელს მიღწეულ შეთანხმებას საჰაერო კორიდორების შესახებ.

დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობები ცდილობენ რამენაირად გაამართლონ საჰაერო კორიდორების გამოყენება დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის ძირგამომთხრელი და რევანშისტური მიზნებისათვის და ამტკიცებენ, რომ საჰაერო კორიდორები შემოღებული იყო „როგორც მეთოდი ჰაერით ბერლინში დასავლეთის სახელმწიფოების შესვლის შეუზღუდველი უფლების განხორციელებისა".

აშკარად ცდილობენ რა ეს დააბრალონ სხვას და მოაქვთ რა თავი ისე, რომ მათ ბრალი არ მიუძღვით დაძაბულობის შექმნაში, რაც გამოიწვია დასავლეთგერმანელი მილიტარისტებისადმი მათმა მხარდაჭერამ, დასავლეთის სახელმწიფოები იქამდეც კი მიდიან, რომ მოითხოვენ საბჭოთა კავშირისგან „მიიღოს ღონისძიებანი დაძაბულობისა და შეშფოთების აღმოსაფხვრელად", თუმცა სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი კვლავ წაყრუებით ეკიდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალთა ჩარევას დასავლეთ ბერლინის საქმეებში და იყენებენ მის ტერიტორიას საერთაშორისო პროვოკაციებისათვის.

ახალი მიჯნებისაკენ! დრანგ ნახ ოსტენ!



ჯონ ფ. კენედის მიერ 1960 წლის საარჩევნო კამპანიის დროს წამოყენებული ლოზუნგი „ახალი მიჯნებისაკენ" ბონელმა რევანშისტებმა აიტაცეს როგორც მორიგი მოწოდება „დრანგ ნახ ოსტენ".

ნახატი ინგლისურ გაზეთ „დეილი უორკერიდან".

ტელეგრაფი გვატყობინებს

✦

სენტოდან ირანის გამოსვლისათვის

ბეირუთი, 26 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ალ-დუნია ალჯადიდა" წერს, რომ საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა სენტოს გეგმების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ რომ ატომური დაბომბვის გზით „მკვდარ ზონად" გადაიქცეს ჩრდილოეთი ირანი, ფართო გამოხმაურება გამოიწვია ირანის ეროვნულ წრეებში. ირანის ეროვნული წრეები კომენტარს უკეთებენ ამ ჯოჯოხეთურ გეგმას და აცხადებენ, რომ იგი არის თვითმკვლელობის დანაშაულებრივი აქტი და მოითხოვენ დაუყოვნებლივ გამოვიდეს ირანი სენტოდან.

ამერიკაში დედამიწის თანამგზავრი გაუშვეს

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუპის სააგენტო იუწყება, გუშინ უოლოპსის კუნძულიდან (ვირჯინიის შტატი) რაკეტა „სკაუტის" საშუალებით გაუშვეს დედამიწის თანამგზავრი. გაშვების მიზანია გამოიკვლიონ კოსმოსური ფრენის უსაფრთხოების პრობლემები.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს მონაცემებით თანამგზავრი ორბიტაზე გავიდა.

ტაიფუნი სამხრეთ ჩინეთში

პეკინი, 27 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ სამხრეთ ჩინეთის სანაპიროს თავს დაატყდა ტაიფუნი. ტაიფუნის ცენტრში ქარის ძალა 12 ბალს აღწევდა. ფუძიანის პროვინციის 24 მაზრაში კოკისპირული წვიმა მოვიდა.

ტაიფუნის მოახლოების სიგნალის მიღების შემდეგ მოსახლეობა დაირაზმა საზღვაო ჯებირებისა და კაშხალების გასამაგრებლად, მებადურთა ნავები ნავსაყუდელში შევიდნენ, გლეხებმა შექმნეს დამკვრელი ბრიგადები სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ხილის მოსავლის ასაღებად. დროზე მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით ტაიფუნისაგან ზარალი მინიმუმამდე შემცირდა.

ფიდელ კასტრო:
ბრაზილიელი ხალხი გაიმარჯვებს

ჰავანა, 27 აგვისტო. (საკდესი). ჰავანის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა კუბის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს განცხადება, რომელიც მან გააკეთა ბრაზილიის პრეზიდენტის ჟანიო კუადროსის იძულებით გადადგომასთან დაკავშირებით.

ჩვენი ხალხი დიდი მწუხარებით შეხვდა, თქვა კუბის პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტ კუადროსის გადადგომას. ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტიდან მისი წასვლით ამერიკა კარგავს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის ერთ-ერთ ყველაზე მტკიცე დამცველს, კარგავს ისეთ ხელმძღვანელს, რომელსაც დიდი სამხრეთამერიკელი ერი მიჰყავდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გზით, მშვიდობის, ყველა ხალხთან სავაჭრო თანამშრომლობისა და მეგობრობის გზით.

ფიდელ კასტრომ აღნიშნა ბრაზილიის მტკიცე პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და პუნტა-დელ ესტეს ამასწინანდელ კონფერენციაზე და თქვა:

მხოლოდ ამერიკის რეაქციული ძალები, იანკის სახელმწიფო დეპარტამენტი, იმპერიალისტური მონოპოლიები და ჩვენი ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის მტრები, შეხვდებიან ზეიმით ამ ცნობას. კუბა, რომელსაც კუადროსი გადაჭრით და მტკიცედ იცავდა შეერთებული შტატების ინტერვენციონისტული პოლიტიკის წინაშე, ამ ძნელ ჟამს სოლიდარობას უცხადებს კუადროსსა და ბრაზილიელ ხალხს. კუბა გამოთქვამს რწმენას, რომ ბრაზილიის მუშები, გლეხები, სტუდენტები პატიოსანი სამხედრო მოსამსახურეები, მთელი დიდი ბრაზილიელი ხალხი წარმატებით მოიგერიებს იმპერიალიზმისა და რეაქციის გამცემლურ დარტყმას და გამარჯვებული გამოვა ამ მძიმე განსაცდელიდან.

მდგომარეობა ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ვითარება ბრაზილიაში კვლავ დაძაბულია.

როგორც იუპის სააგენტო ქალაქ ბრაზილიიდან იუწყება, სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ სამხედრო მინისტრმა ოდილიო დენისმა განუცხადა პოლიტიკურ ლიდერებს, რომ იგი „ვერ იძლევა გარანტიას, რომ ჟოაო გულარტი (ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტი.— რედ. შენიშვნა) დაამტკიცონ ბრაზილიის პრეზიდენტის თანამდებობაზე, და, შესაძლოა, კიდევაც გასცეს ბრძანება, რომ დააპატიმრონ იგი საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ. სამხედრო მინისტრმა დაადასტურა, რომ „ყოველმა ცდამ — გახადონ გულარტი პრეზიდენტი, შეიძლება სამოქალაქო ომი გამოიწვიოს".

26 აგვისტოს დილიდან არმიის ქვედანაყოფებმა შეკრეს რიო-დე-ჟანეიროს და სან-პაულოს სამხედრო და სამოქალაქო აეროპორტების გზები, სადაც შეიძლება გულარტი ჩამოვიდეს.

იუპი იუწყება, რომ „პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, დენისის მტკიცე პოზიცია იმას მოწმობს, რომ მას განუზრახავს დიქტატორის როლი შეასრულოს", სააგენტო „მტკიცე ანტიკომუნისტსა" და „შეერთებული შტატების მეგობარს" უწოდებს მას.

როგორც იუპის სააგენტო ამტკიცებს, სამოქალაქო ომის შესაძლო წარმოშობის საფრთხე გაძლიერდა იმ ცნობის შემდეგ, რომ გულარტის მომხრემ, რიო-გრანდე-დო-სულის შტატის გუბერნატორმა ლეონელ ბრიზოლამ უბრძანა ამ შტატის ჯარებს იყვნენ „მზად ყოველ მომენტში დაიწყონ მოქმედება, თუ საჭიროება წარმოიშვა". ბრიზოლა ცდილობს, რომ ჟოაო გულარტმა პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს კონსტიტუციის შესაბამისად.

იუპის სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ როგორც ავტორიტეტული წრეები აცხადებენ, კონგრესის კომისია აპირებს გაემგზავროს პარიზს, რათა მიუსწროს იქ გულარტს და დაითანხმოს არ დაბრუნდეს ბრაზილიაში სამხედრო მინისტრის დენისის მიერ გაკეთებულ გაფრთხილებასთან დაკავშირებით.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ ქალაქ ბრაზილიიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, რანიერი მაძილიმ ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა. ამავე დროს ბრაზილიიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ძლიერდება ხალხის აღშფოთება რეაქციული გადატრიალების ორგანიზატორთა მოქმედების გამო, გადატრიალებისა, რომელსაც მოჰყვა ჟანიო კუადროსის გადადგომა პრეზიდენტის პოსტიდან.

ლონდონი, 27 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება:

დღეს ბრაზილიის ეროვნულ კონგრესს წინადადება მიეცა მოიწონოს ბრაზილიაში საგანგებო წესების შემოღება. ამას წინათ დანიშნულმა იუსტიციის მინისტრმა არტინს როდრიგესმა დღეს მოითხოვა კონგრესის საგანგებო სესიის მოწვევა, რათა პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელს რანიერი მაძილის მისცეს საგანგებო რწმუნებანი.

სააგენტოს ცნობით, უკვე შემოღებულია ცენზურა ბრაზილიის რადიოსადგურებში.

ლონდონი, 28 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, სამხედრო ნაწილმა ხელთ იგდო სტუდენტთა ეროვნული კავშირის მთავარი ბინა. შეიარაღებული მაშველი ძალები საბრძოლო მზადყოფნაში არიან დემონსტრაციების შემთხვევისათვის.

რიო-გრანდე-დო-სულის შტატის გუბერნატორმა ლ. ბრიზოლამ განაცხადა, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუშალოს ცდებს ჩამოაშორონ ხელისუფლებას ვიცე-პრეზიდენტი გულარტი. დაუდასტურებელი ცნობებით, ნათქვამია ცნობაში, ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიამზიდი და სამი საესკადრო ნაღმოსანი მიდის რიო-გრანდე-დო-სულის სამხრეთი შტატის ნაპირებისაკენ.

ჟოაო გულარტის განცხადება

ციურიხი, 27 აგვისტო. (საკდესი). აქ ჩამოვიდა ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტი ჟოაო გულარტი, რომელიც ბრაზილიაში მიემგზავრება. ვიცე-პრეზიდენტის წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ გულარტს განზრახული აქვს მოითხოვოს თავისი კონსტიტუციური უფლება — დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი, რომელიც განთავისუფლდა ჟანიო კუადროსის გადადგომის შედეგად.

დააპატიმრეს მარშალი ტეიშერა ლოტი

პარიზი, 27 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, რომ, როგორც ცნობილი გახდა, დღეს დილით დააპატიმრეს მარშალი ტეიშერა ლოტი, რომელიც გუშინ გამოვიდა პრეზიდენტის პოსტზე ვიცე-პრეზიდენტ გულარტის დანიშვნის სასარგებლოდ. მან მოუწოდა არმიასა და ხალხს დაიცვან კონსტიტუცია და მხარი დაუჭირონ გულარტის დამტკიცებას პრეზიდენტის თანამდებობაზე.

1960 წლის არჩევნებში ტეიშერა ლოტი იყო პრეზიდენტობის კანდიდატი და მოაგროვა ორი მილიონი ხმა. ჟანიო კუადროსმა მიიღო 3,4 მილიონი ხმა.

რეაქციული გადატრიალება

ბრაზილიის სამი პოლიტიკური პარტიის განცხადება

✦

ჰავანა, 26 აგვისტო. (საკდესი). პრენსა ლატინას სააგენტო სან-პაულოდან იუწყება:

დღეს ბრაზილიის მუშათა პარტიამ, ბრაზილიის კომუნისტურმა პარტიამ და სოციალისტურმა პარტიამ სან-პაულოს შტატში გამოსცეს ერთობლივი მანიფესტი, რომელშიც გმობენ „რეაქციულ გადატრიალებას, რაც განახორციელეს ყველაზე ბნელმა ძალებმა ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმის ბრძანებით".

მანიფესტში ნათქვამია, რომ „თუ პრეზიდენტ ჟანიო კუადროსის გადადგომას დათანხმდნენ, ხალხმა უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ პრეზიდენტის პოსტი გადაეცეს ვიცე-პრეზიდენტ ჟოაო გულარტს", რომელიც საზღვარგარეთ იყო და ამჟამად ბრაზილიაში მიემგზავრება.

„ბრაზილიელი ხალხის დემოკრატიულ შეტევას, — ნათქვამია სამი პარტიის მანიფესტში, — ბრაზილიის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისათვის, ძირეული აგრარული რეფორმისათვის, სიღატაკისაგან სასოფლო-სამეურნეო მუშების განთავისუფლებისათვის უპირისპირდებიან რეაქციული ძალები, რომლებიც ისწრაფვიან ჩაახშონ დემოკრატიული განვითარება და თავიანთი დიქტატურა დაამყარონ".

„ჩვენ გაორკეცებული ენერგიით უნდა განვაგრძოთ ბრძოლა იმისათვის, რომ მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა ითვალისწინებდეს ხალხის კანონიერ ინტერესებს, ბრძოლას ექსპლოატაციისა და სიძვირის წინააღმდეგ, იმპერიალისტური მონოპოლიების წინააღმდეგ".

მანიფესტი მთავრდება მოწოდებით — იბრძოლონ ძირეული აგრარული რეფორმისათვის, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისათვის, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის, კუბის თვითგამორკვევის უფლების დაცვისათვის.

ბუნდესვერის ჩექმა თელავს ინგლისის მიწას

საერთაშორისო ცხოვრება
დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

მათ მოიხიბლეს თბილისის მაყურებელი

თითქმის თვეზე მეტია საქართველოში საგასტროლოდ იმყოფებოდა საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის ნიჭიერი კოლექტივი, რომელმაც თავისი შემოქმედება გააცნო არა მარტო თბილისს, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონის მაყურებელს.

ლვოველმა მსახიობებმა საქართველოში ყოფნის პერიოდში უჩვენეს 75 სპექტაკლი, მათ შორის 36 გასვლითი სპექტაკლი. ჩვენი სტუმრების თეატრალური ხელოვნება 43 ათასმა მაყურებელმა ნახა.

გუშინ თეატრის კოლექტივმა თავისი უკანასკნელი სპექტაკლი „მედოლე ქალი“ გამართა სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში. ამ სპექტაკლით თეატრი სამოქალაქო მაყურებელს გამოეთხოვა, ხოლო დღეს ლვოველები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის წარმოადგენენ იმავე სპექტაკლს.

ჩვენი ინტერვიუ

ლვოველებმა გასტროლები დაამთავრეს

გულითადი მადლობა

დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს მზიური საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა საბჭოთა არმიის ლვოვის დრამატული თეატრის კოლექტივისადმი. მოგვიწყეს გულთბილი შეხვედრები, მიუხედავად აგვისტოს ცხელი ამინდებისა, ჩვენი თეატრის საგასტროლო სპექტაკლების დროს გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი ყოველთვის სავსე იყო მაყურებლით.

გარდა თბილისისა, ვეწვიეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებს — გორს, ბორჯომს, რუსთავს, კასპს, სტალინირს. ყველგან ვგრძნობდით სიყვარულსა და პატივისცემას.

მთელი თეატრის კოლექტივის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო ქართველ მაყურებელს ასეთი გულთბილი შეხვედრებისათვის, რომლებმაც დიდი ძალა შეგვმატა შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, რომლებითაც ჩვენი თეატრის კოლექტივის თხუთმეტი წევრი დაჯილდოვდა, ჩვენი შემოქმედების უდიდესი შეფასებაა.

ა. ალასიანცი,
პოდპოლკოვნიკი, საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის უფროსი.

ვერ დავივიწყებთ...

საქართველოში პირველად ვარ. შთაბეჭდილებანი იმდენი მაქვს და თანაც ისე სასიამოვნო, რომ არ ვიცი, რომელი ერთი გითხრათ. მივდივარ და მენანება, აღარ მემეტება ამ წარმტაცი მხარისა და გულითადად საყვარელი ადამიანების დატოვება.

თბილისში ბევრი რამ ვნახე, დავათვალიერე ისტორიული ადგილები, გავეცანი თბილისელებს. მათ ძალიან უყვართ მშობლიური ქალაქი.

მაყურებელმა ჩვენი თეატრის სპექტაკლებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა.

მინდა გულითადი მადლობა ვუთხრა ქართველ მაყურებელს, რომელმაც ესოდენ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს სპექტაკლებს, აგრეთვე გამოვთქვა სიხარული იმისათვის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დამაჯილდოვეს. ეს დიდი პატივია ჩემთვის.

კიდევ ერთხელ გმადლობთ! ნახვამდის!

რ. კოლესოვა,
საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის მსახიობი.

კვლავაც გვენახეთ!

ჩვენი სტუმართმოყვარე თბილისის მაყურებელი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა და იჩენს როგორც მოძმე ხალხთა, ისე უცხოელთა შემოქმედებითი კოლექტივების ყოველი გასტროლისადმი. ამ შემთხვევაში, როცა ჩვენი მომთხოვნი მაყურებლის წინაშე წარსდგა საბჭოთა არმიის ლვოვის დრამატული თეატრის მაღალმხატვრული კოლექტივი, ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენი დედაქალაქი მეტად გულთბილად შეხვდა ამ შესანიშნავ კოლექტივს. თეატრის ყველა მსახიობი ცდილობდა დიდი სცენური ოსტატობით ეჩვენებინა თავისი წამყვანი თუ პატარა როლი.

მიიღეთ ჩვენი მადლობა, ძვირფასო მეგობრებო, რომ ასე კარგი, აწყობილი, მაღალი გემოვნებით შეკრული სპექტაკლებით დაგვატკბეთ თქვენი გულწრფელი დამფასებლები.

გზა მშვიდობისა! კეთილი იყოს თქვენი კვლავ მობრძანება ჩვენს მზიურ საქართველოში!

დ. ანთაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი.

ყოჩაღ, ნუნუ!

ამბროლაური. (საქ. კორ.). ეს ამბავი სოფელ ბორში მოხდა. საღამო ხანი იყო. სოფლის ბავშვებს თავი მოეყარათ და ერთობოდნენ. ერთნი მღეროდნენ, მეორენი კი ერთმანეთს ხტუნვასა და სირბილში ეჯიბრებოდნენ. მათ შორის იყო ხუთი წლის როსტომ თომაძეც. მისი კისკისი და ცელქობა ელფერს მატებდა საერთო მხიარულებას.

მაგრამ უცებ პატარა როსტომს ფეხი დაუცდა და წყლით სანახევროდ ავსებულ 50-ფუთიან ქვევრში ჩავარდა. როსტომის დედამ დაინახა როგორ გაუჩინარდა მისი ბიჭუნა. ერთი შეჰკივლა, გონება დაკარგა და იქვე ჩაიკეცა. ახლომახლო მშველელი არავინ ჩანდა. წუთიც და ბავშვი დაიღუპებოდა. იგი პაწია თითებით ქვევრის კედლებს ებღაუჭებოდა. მაგრამ ამაოდ, თავის შველას ვერ ახერხებდა.

მოთამაშე ბავშვებმა ყვირილი მორთეს. შველას ითხოვდნენ.

ამ ამბავს თვალი მოჰკრა როსტომის ბიძაშვილმა ხეზე ასულმა ნუნუ თომაძემ. იგი ელვისებურად დაეშვა მიწაზე, ქვევრთან მიირბინა და წყლით გაგუდული ბავშვი ამოიყვანა.

მალე მეზობლებმაც მოირბინეს. პატარა როსტომს პირველი დახმარება აღმოუჩინეს და მოასულიერეს.

ნუნუ თომაძემ ნორჩის სიცოცხლე გადაარჩინა.

დახე. როგორ წითლად ღუის
ფოტოეტიუდი ვ. უუშიტაშვილისა.

◆

საჩუქარი 10 მილიონს

რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციისა და მათი სარგებლობის საბონემენტო ქირის გაუქმება

„იზვესტიის“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ ფელეტონი „კურდღლებზე ნადირობა“, რომელიც გასული წლის ივლისში გამოქვეყნდა. ფელეტონში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კავშირგაბმულობის ორგანოების მრავალი კონტროლიორი ადევნებს თვალყურს ტელევიზორებისა და რადიომიმღებების დროულ რეგისტრაციას და მათი სარგებლობის ქირის გადახდას.

„იზვესტიისათვის“ გამოგზავნილ პასუხში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. ნ. დ. პსურცევმა გვაცნობა, რომ კავშირგაბმულობის სამინისტრომ მთავრობაში აღძრა შუამდგომლობა რადიომიმღებების რეგისტრაციისა და მათი სარგებლობის საბონემენტო ქირის გაუქმების შესახებ.

ამ დღეებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა სპეციალური დადგენილება. იგი ითვალისწინებს 1962 წლის 1 იანვრიდან რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციის, აგრეთვე საბონემენტო ქირის გადახდევინების გაუქმებას.

— რას მისცემს მშრომელებს ახალი დადგენილება?

ასეთი კითხვით მიმართა „იზვესტიის“ კორესპონდენტმა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეს ქ. ი. სერგეიჩუკს.

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა ამხ. სერგეიჩუკმა, — ყველა, ვისაც ტელევიზორი და რადიომიმღები 1959 წლის 1 იანვრამდე შეუძენია, 1962 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტს მათი სარგებლობისათვის ქირის შეტანას, სადაც უნდა იყოს რადიოდანადგარი — ბინაში, საერთო საცხოვრებელსა თუ ავტომანქანაში. ამრიგად, ახალი წლისათვის რადიომიმღებებისა და ტელევიზორების 10 მილიონზე მეტი მფლობელი კარგ საჩუქარს მიიღებს.

ბევრი სამდურავი იყო გამოთქმული იმის გამო, რომ მოქმედი ინსტრუქციების მიხედვით რადიომიმღებებითა და ტელევიზორებით სარგებლობის ქირას იმ შემთხვევაშიც ახდევინებდნენ, როცა ისინი სხვადასხვა მიზეზით უმოქმედოდ იყვნენ. ახლა ასეთი სამდურავისათვის მიზეზი აღარ იქნება.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მოსდიოდა მშრომელთა ბევრი წერილი, რომლებშიც გამოთქმული იყო წინადადებანი, რომ საბონემენტო ქირის გადახდევინება ხდებოდეს უშუალოდ რადიომიმღებისა და ტელევიზორის გაყიდვისას. ეს წინადადებანი გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილებაში. დაწყებული 1962 წლის 1 იანვრიდან, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის პროგრამების ორგანიზაციის ხარჯების დასაფარავად მყიდველებს ერთგვარი დამატებითი სასყიდელი გადახდებათ მაღაზიებში რადიომიმღებებისა და ტელევიზორების შეძენისას.

მოქალაქენი, რომლებსაც რადიომიმღებები შეძენილი აქვთ 1959 წლის 1 იანვრის შემდეგ, საბონემენტო ქირას შეიტანენ მათი რეგისტრაციის დღიდან სამი წლის ვადის გასვლამდე.

(„იზვესტია“, 27-VIII).

ხელოვნების ქრონიკა

ამბროლაური. (საქ. კორ.). სოფელი წესი ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილია რაიონში. აქაურ მშრომელებს ბარაქიანი შრომაც უყვართ და კულტურული დასვენებაც. წესელებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სცენისმოყვარეთა დასი.

ამას წინათ ადგილობრივმა თეატრალურმა კოლექტივმა სოფლის მშრომელებს მორიგ პრემიერად უჩვენა შ. დადიანის დრამა „გეგეჭკორი“.

ახალციხის სახალხო თეატრის კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ვ. კანდელაკის კომედია „ამაღლებული სოფელი“.

სპექტაკლი დადგა ნ. ზამბახიძემ, მხატვრულად გააფორმა ა. გოგოლაძემ.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა ზ. ტალახაძემ, ს. ჩილინგარაშვილმა, ო. ხმალაძემ, ა. გოგოლაძემ, თ. ჩერქეზიშვილმა და სხვ.

ფრანგი მეშახტეები ტყიბულში

ტყიბული. (საქ. კორ.). აქ ოთხ დღეს იმყოფებოდა საფრანგეთის სამთო მრეწველობის ეროვნული ფედერაციის დელეგაცია. ფრანგმა მეშახტეებმა დაათვალიერეს სტალინის სახელობის შახტი. სტუმრები ჩაეშვნენ მიწისქვეშა სანგრევებსა და ლავებში, ესაუბრნენ ნოვატორებს. მათ გააცნეს ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური ვების ახალი მეთოდი. სტუმრები განსაკუთრებით დააინტერესა ახალი შახტების მშენებლობამ. ფრანგმა კოლეგებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ტყიბულელ მეშახტეთა საცხოვრებელი ბინები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. სტალინის სახელობის შახტის კლუბთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა სტუმრების პატივსაცემად კონცერტი გამართა. მეშახტეთა კულტურის სასახლეში ფრანგი მეშახტეები დაესწრნენ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლს.

სტუმრები დაინტერესდნენ აგრეთვე ტყიბულელი მეჩაიეების სახელოვანი შრომითი წარმატებებით. იყვნენ ორპირის ჩაის ფაბრიკაში, სადაც გაეცნენ ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიას.

გამგზავრების წინ დელეგაციის მეთაურმა, ფრანგ მეშახტეთა ეროვნული ფედერაციის მდივანმა აშილ ბლონდომ განაცხადა:

— მოხიბლული ვართ ქართველ მეშახტეთა შრომით, მათი მიღწევებით, დიადი მისწრაფებებით. ის, რაც თქვენში გაკეთდა მეშახტეთა შრომის შესამსუბუქებლად, ჩვენთვის, ფრანგი მეშახტეებისათვის, ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებაა..

ფრანგი მეშახტეები ტყიბულიდან წყალტუბოში გაემგზავრნენ.

ამბები, ფაქტები, ცნობები

„ოქროს ათეული“ სტარტზე

სპორტულ მიმომხილველთა წრეებში ყურს მოკრავთ ასეთ გამოთქმას — „ოქროს ათეული“. ეს ფეხბურთელთა გუნდების ის ათეულია, რომელიც „უმაღლეს დონეზე“ პაექრობაში ჩემპიონობისა და ოქროს მედლებისათვის იბრძვის.

და აი გუშინ სტარტი მიეცა „ოქროს ათეულის“ ორ წარმომადგენელს —არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდსა და ხარკოვის „ავანგარდს“. პირველი მათგანი ფინალში 29 ქულით შევიდა, მეორე — 26 ქულით.

ამ დიდი ფეხბურთის სანახავად დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონს ათასობით მაყურებელი ეწვია.

ბრძოლა შეუპოვარი და შინაარსიანი იყო. პირველი ტაიმი დამთავრდა 0:0. შეჯიბრების მეორე ნახევრის 31-ე წუთზე ამბარცუმიანის მიერ გატანილი ბურთი მთელ თამაშში ერთადერთი აღმოჩნდა. გაიმარჯვა ცსკა-მ.

შუქი... ღამით

„კომუნისტის“ კვირის ნომერში დაიბეჭდა ღამით გადაღებული ჯვრის მონასტრის ფოტო, ბადრი მთვარე რომ წამოსდგომოდა თავზე. ახლა ჯვრის მონასტერი ყოველ ღამით განათებულია...

ამ არქიტექტურული განათების ავტორებია ინჟინერი ბ. ლომიძე და არქიტექტორი რ. აგაბაბიანი.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში ბ. ლომიძე ვრცლად შეჩერდა არქიტექტურაში სინათლის როლის შესახებ.

როგორც ჯვრის მონასტრის, ისე სხვა არქიტექტურული ძეგლების განათებისას საჭიროა ხაზი გაესვას და გამოიკვეთოს ამა თუ იმ ძეგლის დამახასიათებელი არქიტექტურული ხელწერა. ძეგლის უბრალოდ გაშუქებასა და არქიტექტურულ განათებას შორის დიდი განსხვავებაა.

სხივმა უნდა გამოკვეთოს მთავარი, მნიშვნელოვანი, ძეგლს უნდა შემატოს სილამაზე და ჰარმონიულობა.

აუცილებელია სინათლის წყარო ისე ოსტატურად გავფანტოთ და შევნიღბოთ, რომ გარეშე თვალი არ გააღიზიანოს.

დროა ჩვენმა არქიტექტორებმა ყურადღება გაამახვილონ ძეგლების ღამით განათების პრობლემაზე. სამწუხაროა, რომ დღემდის აგებულ ახალ ნაგებობებსაც კი არ აქვს არქიტექტურული განათების საკითხი მოწესრიგებული.

მსოფლიოს დიდი ქალაქების არქიტექტურაში ასეთი სინათლე უკვე დიდიხანია შევიდა და მტკიცედ დამკვიდრდა. საუცხოო სანახავია მოსკოვის კრემლის ანსამბლი, უნივერსიტეტი ლენინის გორაზე, სხვა მრავალსართულიანი სახლები.

თბილისის შესახებ არა ერთხელ თქმულა, რომ იგი კოლორიტული და ლამაზი ქალაქია, მსოფლიოს ბევრ ქალაქს არ ჩამოუვარდება ეშხით, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლებით.

მაშ რატომ უნდა ფარავდეს ღამე ამ ძეგლებს?

მალე შემოვა შუქი თბილისში, არა უბრალო ნათურა, არამედ არქიტექტურული განათება. დიდი დრო არ გავა და ოსტატურად, მხატვრულად, მუდმივად გაჩირაღდნდება მეტეხი და შურის ციხე, უნივერსიტეტი და რუსთაველის მოედანზე ადმინისტრაციული სახლი, რუსთაველისა და ოპერის თეატრი...

კიდევ უფრო დამშვენდება ჩვენი დედაქალაქი, და თუ ახლა ფუნიკულორზე ავდივართ ღამის თბილისის სანახავად, მალე არქიტექტურული შუქი ისე დამკვიდრდება თბილისში, რომ ახალ სილამაზესა და ეშხს მისცემს ღამით დედაქალაქს.

რ. ახვლედიანი.

შეგვრცხვა, „ვაჟას წყარო“!

დიდი ქართველი მგოსნის ვაჟას დაბადების 100 წლისთავზე პირველად ჩამოასხეს მინერალური წყალი „ვაჟას წყარო“, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს. „ვაჟას წყარო“ ნახშირორჟანგიანი, ჰიდროკარბონატული სამკურნალო წყალია, რომელიც თავისი ქიმიური შემადგენლობით ძალიან უახლოვდება საირმის ტიპის წყლებს და შესანიშნავი სამკურნალო თვისებები აქვს.

ბუნების დიდებული სურათია გადაშლილი ვაჟას წყაროს ჩამოსხმის ადგილას. გვჯერა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ეს ადგილი მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის საუკეთესო კერად გადაიქცევა. აქ „ვაჟას წყაროს“ გარდა, აღმოჩენილია კიდევ ორი წყარო, რომელთა სახელდახელო ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა მათი საუკეთესო სამკურნალო თვისებები.

სამწუხაროდ, „ვაჟას წყაროს“ ჩამოსხმა დღემდე მოუწესრიგებელია, ქარხანა მოუმზადებელია ზამთრისათვის, ყინვის დროს მოსალოდნელია მილების დახეთქვა, დეფექტები აქვს ჩამოსასხმელ დანადგარს. საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ იზრუნოს ამ მეტად ძვირფასი სამკურნალო წყლის ჩამოსხმის გაფართოებისათვის. (საქ. კორ.).

რადიოგადაცემა საზოგადოებრივ საწყისებზე

ცაგერი. (საქ. კორ.). ამ დღეებში აქ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა დაიწყო ადგილობრივმა რადიოგადაცემამ.

რადიოგადაცემის სარედაქციო კოლეგიაში გაერთიანებული არიან გამოცდილი ჟურნალისტები, პარტიული, პროფკავშირული და საბჭოთა მუშაკები. უკვე შეიქმნა მეცნიერების მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების, პროპაგანდისა და აგიტაციის, ინფორმაციის, მხატვრულ და სხვა გადაცემათა განყოფილებები.

რადიოგადაცემა კვირაში ორჯერ წარმოებს.

ახალი სასტუმროს პირველი სტუმრები

დღითიდღე ლამაზდება და მშვენდება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი დუშეთი. ამას წინათ პირველი სტუმრები მიიღო ახალმა ორსართულიანმა სასტუმრომ, რომელსაც 60 საწოლი აქვს.

საექსპლოატაციოდ გადასცეს კეთილმოწყობილი აბანო. მთავრდება კომუნალური საცხოვრებელი სახლის აგება, მიმდინარეობს უნივერსალური მაღაზიის, 16-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა და ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. (საქ. კორ.).



სურათზე: დუშეთის ახალი სასტუმრო. ფოტო ი. წიკლაურისა.

რესპუბლიკის არტერია

ასეთი იქნება ჩვენი გზები

✦

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა 1961 წელს უნდა დაამზადონ და მიჰყიდონ სახელმწიფო მიმღებ პუნქტებს 165 ათასი ტონა მარცვლეული, მათ შორის 117 ათასი ტონა სიმინდი, 165 ათასი ტონა ჩაი, 150 ათასი ტონა ყურძენი, 85 ათასი ტონა ხილი, 90 ათასი ტონა ბოსტნეული, 145 ათასი ტონა რძე, 70 მილიონი ცალი კვერცხი და სხვ.

ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უდიდესი ამოცანების შესრულებისათვის გზატკეცილების კარგ მდგომარეობაში ყოფნას. მთელი ზემოთ მოყვანილი მოსავალი მინდვრებიდან მიმღებ პუნქტებამდე უნდა გამოიზიდოს ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზატკეცილებით. აქედან ნათლად ჩანს ის დიდი ამოცანები, რომლებიც დაუსახა იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებამ გზატკეცილების მთავარი სამმართველოს მუშაკებს. საკმარისია ითქვას, რომ ამ ამოცანების შესასრულებლად 1961 წელს გზათა და ხელოვნურ ნაგებობათა შესაკეთებლად დაიხარჯება სახელმწიფო გზებზე სულ 20,2 მილიონი მანეთი, მათ შორის კაპიტალური დაბანდებით 4 მილიონი, კაპიტალურ და საშუალო შეკეთებაზე — 13,9 მილიონი, მიმდინარე შეკეთებაზე (გამწვანებით)—2,3 მილიონი მანეთი.

გარდა ამისა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე 1961 წელს დაიხარჯება: ადგილობრივი ბიუჯეტით გზების კაპიტალურ შეკეთებაზე — 1 მილიონი მანეთი, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობით—5,7 მილიონი მანეთი.

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით სახალხო-სამეურნეო გეგმით წელს კაპიტალურად შევაკეთებთ 304 კილომეტრ გზას, რომელსაც მიეცემა ისეთი სახე, როგორც ეს ფოტოსურათზეა აღბეჭდილი, და კაპიტალურად შეკეთდება 1809 გრძივი მეტრი ხიდები.

ჯერ კიდევ 1961 წლის 30 იანვარს შედგა კოლეგიის სპეციალური სხდომა, რომელიც მიეძღვნა ორმოების ლიკვიდირებას. საგზაო და გამაფრთხილებელი ნიშნების წესრიგში მოყვანას, გზის ვაკისის, წყალგამტარი თხრილების, გვერდულების და გამწვანების წესრიგში მოყვანას. შემოწმებამ დაგვანახვა, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დროულად სრულდება.

გზატკეცილების სამმართველოს კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს, რათა დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულოს შვიდწლედის მესამე წლის გეგმა, რითაც რესპუბლიკას მისცემს კულტურულად გაფორმებულ და კეთილმოწყობილ გზატკეცილებს. გზის მშენებლებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ გზა რესპუბლიკის არტერიაა და დასახული ამოცანა პირნათლად უნდა შესრულდეს.

შ. ლებანიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

• • •



სურათზე: გზატკეცილის ერთ-ერთი კაპიტალურად შეკეთებული უბანი.

კომუნისტი სპორტი

ფეხბურთი

ბრძოლები მეორე ეშელონში

ჩვენმა ორმა წარმომადგენელმა მეორე ეშელონიდან — „ტორპედომ“ და „ლოკომოტივმა“ ფეხბურთის მოყვარულებთან ერთად აალაპარაკა ოსტატთა ოცდათორმეტივე გუნდი მოკავშირე რესპუბლიკებიდან. გამარჯვებას, გამარჯვება მოსდევდა, ქუთაისელები ზეიმობდნენ თავიანთი კოლექტივის წარმატებას. და აი ტორპედოელებმა ფინიშთან წაიბორძიკეს, დაკარგეს ქულები. რა მოხდა?

ეს გამოწვეული იყო მოთამაშეთა ტრავმით არა მოედანზე, არამედ მანქანით მგზავრობის დროს. წარუმატებლობის ეტაპმა განვლო, გუნდმა აღიდგინა საბრძოლო ფორმა. აი შედეგიც — გასულ კვირას ტორპედოელებმა თავიანთ მოედანზე დაამარცხეს სტალინაბადის „ენერგეტიკი“ 3:1 და მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს. ახლა, ქუთაისის გუნდს და ყარაგანდის „შახტიორს“ 31-31 ქულა აქვთ თითოეულს და მეორე ზონის ლიდერები არიან.

ბზარი „დინამოს“ რიტმში

აბა რომელ ჩემპიონატს ჩაუვლია ამა თუ იმ გუნდისათვის უხიფათოდ. მაგრამ წლევანდელ პირველობაში დიდი ტრადიციის მქონე კოლექტივის — მოსკოვის „დინამოს“ წარუმატებლობა № 1 სენსაციაა. ჯერ იყო და დასაწყისიდანვე ვერ მოწესრიგდა „დინამოს“ მანქანის რიტმული მუშაობა, ხოლო გადამწყვეტ მომენტში მინსკის „ბელარუსთან“ მატჩში ხიფათი განიცადა და სანუკვარ ათეულში ვერ მოხვდა.

საქმე ამით როდი ამოიწურა. ახლა საკითხავია შეძლებენ თუ არა ისინი მე-11 ადგილის დაკავებას, რადგან 27 აგვისტოს „დინამომ“ სტალინოში კიდევ ერთი ქულა დაკარგა „შახტიორთან“ შეხვედრაში — 0:0.

კიდევ ერთი მატჩის მოწმენი იყვნენ გუშინ მაყურებლები ვილნიუსში. აი შედეგი — „სპარტაკი“ (ვილნიუსი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:1.

სიურპრიზები კორტებზე

მოსკოვის ტურნირი ჩოგბურთში სეზონის ერთ-ერთი უდიდესი ასპარეზობა იყო.

ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ბრძოლის უკანასკნელ ეტაპს — ფინალურ შეხვედრებს, რომელიც გასულ კვირა დღეს შედგა.

როდესაც ქალთა ფინალური შეხვედრის პირველი პარტია დამთავრდა დმიტრიევასა და პუჟეიოვა-სუკოვას შორის, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ გაიმარჯვებდა საბჭოთა ჩოგბურთელი, მაგრამ მომდევნო ორ პარტიაში ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენი წარმატებით იბრძოდა, მოიგო ორივე თანაბარი ანგარიშით 6:1 და პირველი ადგილი დაიკავა.

დაახლოებით ასევე წარიმართა ვაჟთა შეჯიბრება. ჩილელმა ჩოგბურთელმა როდრიგესმა დაამარცხა ლეიუსი. ქალთა წყვილებში გაიმარჯვა პუჟეიოვა-სუკოვამ და იოჰანესმა, ვაჟთა წყვილებში — ლიხაჩოვმა და მოზერმა.

კალათბურთი

საყურადღებო გაკვეთილი

გუშინდელ მატჩში დინამოელებმა ბევრით ვერაფრით გაგვახარეს. მართალია მათ „ქალგრისთან“ შეხვედრაში გაიმარჯვეს, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ დინამოელები აშკარა დამარცხების ზღვარზე იდგნენ.

თავის თავში ზედმეტმა რწმენამ, ყურადღების მოდუნებამ, გამოიწვია ის, რომ თბილისელმა კალათბურთელებმა წააგეს ტაიმი 8 ქულით — 27:35.

ასევე გრძელდებოდა მეორე ტაიმიც, მაგრამ ბოლო 7-8 წუთში შეძლეს მასპინძლებმა თამაშში გარდატეხის შეტანა და შეხვედრის მოგება ანგარიშით 71:68.

დამაფიქრებელი, ამასთანავე მეტად საყურადღებო გაკვეთილია!

ჭადრაკი

ფინალისაკენ მიმავალ გზაზე

საკავშირო ჩემპიონატის ფინალს წინ უძღვის შესარჩევი შეხვედრები. ეს არის საჭადრაკო ნახევარფინალები, რომლებმაც უნდა გამოავლინონ დასკვნითი ასპარეზობის კანდიდატები. ფინალისაკენ მიმავალი გზა უეკლო როდი გამოდგა, უსიამოვნებებს წააწყდნენ გროსმაისტერები, საერთაშორისო ოსტატები.

თუ გადავხედავთ ბათუმის ნახევარფინალს, აქ ლიდერობის საკითხში ყველაფერი რიგზეა. მიუხედავად იმისა, რომ 27 აგვისტოს მე-15 ტურში გურგენიძეს პარტია არ დაუმთავრებია პრესთან, იგი ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს და გზა გახსნილი აქვს ფინალისაკენ.

ამავე ტურში კიდევ ორი პარტია გადაიდო. დანარჩენი პარტიების შედეგები კი ასეთია: პავლენკომ დაამარცხა მოსიონჟიკი, როიზმანმა — ანოხინი, გრუშევსკიმ — ჰალილბეილი, უსტინოვმა — არაქელოვი, ხოლო ბუსლაევი ლომაიასთან პარტიაში ყაიმს დასჯერდა.

გათამაშების ცხრილში სიცხადის შესატანად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადადებული პარტიების დამთავრებას.

პრესი ბრძოლის განუახლებლად დანებდა გურგენიძეს, როიზმანმა მოუგო პავლენკოს, გიპსლისმა — ზახარიანს. კლოვან-ლომაიას გამოტოვებულ პარტიაში გაიმარჯვა პირველმა.

15 ტურის შემდეგ გურგენიძეს 12,5 ქულა აქვს, გიპსლისს — 11,5 ქულა, ნეისა და ბაგიროვს — თერთმეტ-თერთმეტი ქულა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

29 აგვისტო

ტელევიზია 12.00 — მხატვრული ფილმი — „ყაჩაღანა“, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „სახალისო ანბანი“, 18.20 — კინოჟურნალი, 18.30 — საესტრადო ორკესტრებისა და ანსამბლების ფესტივალი (გადაცემა მეოთხე), 19.20 — ახალი ამბები, 19.35 — სპორტული გადაცემა.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის—3-16-90, წერილების—3-73-24, ილუსტრაციო—3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 05646 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14,